

სსიპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ სორმონის  
საჯარო სკოლის ქიმიის მასწავლებლის, ინგა კუხიანიძის  
პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა თამაზე:

„სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ჩართულობის  
გაუმჯობესების გზების კვლევა ქიმიის გაკვეთილებზე“

2018-2019 სასწავლო წელი

|  |    |
|--|----|
| სარჩევი  |    |
| შესავალი ნაწილი-----   | 4  |
| <b>თავი- I</b>   |    |
| 1.1 სკოლის შესახებ ინფორმაცია.-----                              | 6  |
| 1.2 არსებული პრობლემის აქტუალობა-----                            | 7  |
| 1.3 საკვლევი საკითხის ზოგადი მიმოხილვა-----                      | 8  |
| <b>თავი-II</b>   |    |
| კვლევის ჩატარებისათვის საჭირო ლიტერატურის მიმოხილვა-----         | 9  |
| <b>თავი-III</b>  |    |
| 3.1 საკვლევი თემასთან დაკავშირებული შეკითხვების ფორმულირება----- | 19 |
| 3.2 ჩატარებული კვლევის მიზანი და ამოცანები-----                  | 20 |
| <b>თავი-IV</b>   |    |
| 4.1 კვლევის ვადები-----  | 21 |
| 4.2 კვლევის მეთოდები-----  | 22 |
| ცხრილი N1. კვლევის შედეგები                                      |    |
| 4.3 მონაცემთა ანალიზი-----                                       | 23 |
| ცხრილი N2 . კითხვარის შედეგები-----                              | 25 |
| ცხრილი N3. კითხვარის შედეგები-----                               | 26 |
| ცხრილი N4. კითხვარის შედეგები-----                               | 29 |
| ცხრილი N5. კითხვარის შედეგები-----                               | 31 |
| <b>თავი-V</b>  |    |
| 5.1. ინტერვენციები-----  | 34 |
| 5.2 ინტერვენციების შედეგები და მათი ანალიზი-----                 | 35 |
| <b>თავი-VI</b>   |    |
| 6.1 კვლევის მიგნებები-----                                       | 36 |

|  |    |
|--|----|
| 6.2 რეკომენდაციები-----                    | 36 |
| 6.3 კვლევის ნაკლოვანებები-----             | 37 |
| <b>თავი-VII</b>                            |    |
| დასკვნა-----                               | 37 |
| <b>თავი-VIII</b>                           |    |
| გამოყენებული ლიტერატურა-----               | 39 |
| დანართი N1-კითხვარი მოსწავლეებისათვის----- | 40 |
| დანართი N2-კითხვარი მშობლებისათვის-----    | 41 |
| დანართი N3-კითხვარი მოსწავლეებისათვის----- | 42 |

## შესავალი

კვლევები ადასტურებს, რომ მოსწავლეები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან თავიანთი შესაძლებლობებით, ბიოგრაფიით, მზაობით, სწავლისა და აღქმის ტემპით, სწავლის სტილით, პრიორიტეტებით, მიზანდასახულობით და მისწარაფებებით. აქედან გამომდინარე, აშკარაა, რომ საგაკვეთილო პროცესში თითოეული მოსწავლის თანაბარი ჩართულობისთვის აუცილებლობას წარმოადგენს სასწავლო პრაქტიკის მრავალფეროვნება, განსხვავებული ხერხებით, სხვადასხვა აქტივობებით გაკვეთილების დეგემვა. საგაკვეთილო პროცესში მოსწავლეთა ჩართულობის ამაღლებაზე ზრუნვა სწავლა-სწავლების პროცესის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია. მოგეხსენებათ, რომ სწავლების სამივე საფეხურზე მოსწავლეთა ჩართულობა ერთმანეთისაგან განსხვავებულია. სალიტერატურო წყაროებზე დაყრდნობით ვგებულობთ, რომ პედაგოგიური პრაქტიკიდან გამომდინარე პედაგოგები ხმამაღლა აცხადებენ, რომ დაწყებით საფეხურზე სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ჩართულობა ძალიან მაღალია. პატარები სწავლისადმი მეტად მოტივირებულნი არიან. საბაზო საფეხურზე სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ჩართულობა და ინტერესი სწავლისადმი თანდათან იკლებს. საშუალო საფეხურზე კი მოსწავლეთა უმრავლესობა გულგრილი და ინერტიულია საგაკვეთილო პროცესებისადმი. ამიტომაცაა, რომ დღეს საჯარო სკოლებში დაწყებული საბაზო საფეხურიდან საშუალო საფეხურამდე, ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრობლემას საგაკვეთილო პროცესში მოსწავლეთა დაბალი ჩართულობა წარმოადგენს. საკუთარმა პედაგოგიურმა საქმიანობის გამოცდილებამ მიჩვენა, რომ დაბალი ჩართულობითა და აქტიურობით გამოირჩევიან მეთე-მეთერთმეტე კლასის მოსწავლეები ქიმიის გაკვეთილებზე, რაც საბოლოოდ ცუდად აისახება მათ ცოდნის დონეზე. სწორედ აღნიშნული გარემოებაა მიზეზი იმისა, რომ მომავალი პროფესიის არჩევისას ნაკლებია იმ მოსწავლეთა რიცხვი, რომლებიც ქიმიას ირჩევენ ეროვნულ გამოცდებზე ჩასაბარებლად. საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ წლების მატებასთან ერთად საგნით დაინტერესებულ ახალგაზრდათა რიცხვი თანდათან იკლებს. ვფიქრობ, გამომწვევი მიზეზებიდან ერთ-ერთი ესგ-ით გათვალისწინებული

საათების მცირე რაოდენობა მოიაზრება. არსებული პრობლემების იდენტიფიცირებისა და მათი გამომწვევი მიზეზების შემცირებისათვის სსიპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ სორმონის საჯარო სკოლის ქიმიის მასწავლებელმა-ინგა კუხიანიძემ ჩავატარე პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა. კვლევის წარმატებით განხორციელებისათვის წინასწარ შევიმუშავე სამოქმედო გეგმა, რომლის მიხედვით კვლევის ძირითად მიზანს შეადგენდა გამომეკვლია სასწავლო საგნის-ქიმიის შესწავლის მიმართ მოსწავლეთა დაბალი მოტივაციის მიზეზები და მომეძებნა გზები საგაკვეთილო პროცესში მოსწავლეთა ჩართულობის გასაუმჯობესებლად, რაც ხელს შეუწყობდა მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების ამაღლებას. პედაგოგიური პრაქტიკის კვლევისას გავითვალისწინე სკოლაში მოსწავლეთა, აგრეთვე მასწავლებელთა მცირე რიცხვი. ამიტომ კვლევის განხორციელებისთვის გადავწყვიტე გამომეკითხა დაწყებითი საფეხურის გარდა ყველა მასწავლებელი, საბაზო -საშუალო საფეხურის მოსწავლეები და მათი მშობლები წინასწარ მომზადებული კითხვარების დახმარებით. მიღებული პასუხების გზით გამეკეთებინა საბოლოო ანალიზი, კოლეგების გამოცდილებისა და მათი რჩევების გათვალისწინებით სწორი დასკვნები გამომეტანა ჩემ საგანში საგაკვეთილო პროცესში მოსწავლეთა ჩართულობის ამაღლებისათვის გზების დასადგენად.

ჩემ მიერ წარმოდგენილ ნაშრომში განხილულია ქიმიის შესწავლის მიმართ მოსწავლეთა დაბალი მოტივაციის, ამის გამო საგაკვეთილო პროცესში მოსწავლეთა დაბალი ჩართულობის გამომწვევი პრობლემები, კვლევის განხორციელების ფარგლებში გამოყენებული თვისობრივი და რაოდენობრივი მეთოდები წინა პლანზეა წამოწეული. აგრეთვე აღნიშნული მეთოდების გამოყენებით ნაშრომში მოცემულია შეგროვილი მონაცემთა ანალიზი. აღნიშნულია ძირითადი პრობლემების გადასაჭრელად ჩემ მიერ დაგეგმილი ინტერვენციები, ინტერვენციების შედეგები, მისი შეფასება და ბოლოს სათანადო დასკვნები.

ვფიქრობ, წინამდებარე ნაშრომი, რომელიც წარმოადგენს ჩემ მიერ განხორციელებულ კვლევის ანგარიშს, სამომავლოდ დამეხმარება უკეთ დავეგეგმო გაკვეთილები, სწორად შევარჩიო აქტივობები და საინტერესო გავხადო

მოსწავლეებისათვის ჩემი გაკვეთილები და თუ ახლა კლასში მყავს ერთი ან ორი აქტიური და ქიმიანე შეყვარებული მოსწავლე, ეს რიცხვი მომავალი სასწავლო წლისთვის გავზარდო. აგრეთვე კვლევის დახმარებით მიღებული საბოლოო დასკვნები ვფიქრობ, დიდად წაადგება ჩემი სკოლის პედაგოგებს მსგავსი პრობლემების დროს სწორად მოახდინონ პრობლემის ინდენტიფიცირება და სწორად დაგეგმილი აქტივობებით, შერჩეული სასწავლო სტრატეგიებით დროულად მოძებნონ გადაჭრის გზები.

## თავი-I

### 1.1 იფორმაცია სკოლის შესახებ

სსიპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ სორმონის საჯარო სკოლაში სწავლობს 40 მოსწავლე. სკოლაში სწავლება მიმდინარეობს სამივე საფეხურზე- დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე. მოსწავლეთა სწავლა-აღწრდას ემსხურება 16 მასწავლებელი. რომელთა შორის 1 წამყვანი, 11 უფროსი და 4 პრაქტიკოსი მასწავლებელია. საბაზო და საშუალო საფეხურზე საბუნებისმეტყველო საგნებს -ბიოლოგიასა და ქიმიას ასწავლის უფროსი, ფიზიკას კი- წამყვანი მასწავლებელი. სკოლას აქვს კეთილმოწყობილი საკლასო ოთახები, დერეფნები, ღია სპორტული მოედანი, სველი წერტილები, კომპიუტერული ლაბორატორია, რომელიც აღჭურვილია ინტერნეტით, სადაც როგორც მოსწავლეებს ასევე მასწავლებლებსაც შეუძლიათ მოიძიონ მათთვის საინტერესო ინფორმაცია. სკოლის მასწავლებლებს ხელი მიუწვდებათ ყველა საჭირო სასწავლო რესურსთან, რომლებიც ეხმარებათ მათ ახალი სტანდარტების შესაბამისად დაგეგმონ გაკვეთილები. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ სკოლას არ აქვს საჭირო ინვენტარით, ხელსაწყოებითა და რეაქტივებით აღჭურვილი ფიზიკის, ბიოლოგიისა და ქიმიის ლაბორატორიები. რადგან სკოლა მცირეკონტიგენტანია კვლევის სამიზნე ჯგუფად ავირჩიე საბაზო და საშუალო საფეხური, ამ საფეხურზე სწავლობს 15 მოსწავლე. კვლევაში მონაწილეობა მიიღო თხუთმეტივე მოსწავლემ: საბაზო საფეხურზე-6 მოსწავლემ, საშუალო საფეხურზე-9 მოსწავლემ. კვლევა განხორციელდა 2018 -2019 სასწ. წელს და გრძელდებოდა 2018 წლის ოქტომბრიდან აპრილის ჩათვლით- 7 თვე.

## 1.2 პრობლემის აქტუალობა

სკოლაში ფუნქციონირებს ოთხი საგნობრივი კათედრა. მათ შორისაა მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო საგნების კათედრა. კათედრა აერთიანებს სკოლის მათემატიკის, ბიოლოგიის, ფიზიკისა და ქიმიის მასწავლებლებს. როგორც პედაგოგიური საბჭოს ასევე აღნიშნული კათედრის სხდომებზე ყოველთვის გაისმის საბუნებისმეტყველო საგნების მასწავლებლების გულისწუხილი იმის თაობაზე, რომ საბაზო საფეხურიდან მოსწავლეთა დიდი ნაწილი ნაკლებ დაინტერესებას იჩენენ აღნიშნული საგნების სწავლებაში. მსგავსი მდგომარეობაა ქიმიის სწავლების შემთხვევაშიდაც. ძალიან დაბალია საგაკვეთილო პროცესში მოსწავლეთა ჩართულობის ხარისხი. მოსწავლეთა ნაწილი მთელი სასწავლო წლის მანძილზე არ იჩენს ინტერესს საგნის შესწავლისადმი ან თუნდაც ერთი რომელიმე კონკრეტული თემისადმი. ასეთი კატეგორიის მოსწავლეები ვერ ან არ ასრულებენ მიცემულ საშინაო დავალებებს. ეზარებათ თემასთან დაკავშირებით საინტერესო ინფორმაციების მოძიება ინტერნეტით ან კიდევ დამხმარე ლიტერატურიდან. უჭირთ, ვერ ახერხებენ ან საერთოდ გულგრილად ექცევიან დამოუკიდებელი სამუშაოების შესრულებას. დაბალია მოსწავლეთა მოტივაცია, რის გამოც დაბალია მათი საგაკვეთილო პროცესში ჩართულობა. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი დაბლა წევს მოსწავლეთა აკადემიურ მოსწრებას. პედაგოგიური გამოცდილება გვკარნახობს, რომ მოსწავლეთა საგაკვეთილო პროცესში ჩართულობა მოსწავლეთა ასაკის მატებასთან ერთად თანდათან კლებულობს. საბაზო საფეხურთან შედარებით საშუალო საფეხური ამ კუთხით გაცილებით უფრო პრობლემატურია. რა არის ყოველივე ამის მიზეზი? ქიმიის შესწავლის მიმართ მოსწავლეთა ნაწილს არ გააჩნიათ არც შინაგანი და არც გარეგანი მოტივაცია. ისინი ამ საგნის სწავლებას არ ანიჭებენ უპირატესობას და არც დაწერილი დაბალი ქულა აღელვებთ. მიზეზი მათი თქმით არის ის, რომ მომავალი პროფესიის დაუფლებისთვის არ ჭირდებათ ქიმიის ცოდნა. ნაწილს კი როგორც ქიმია ასევე დანაჩენი საგნები ზედმეტ „ფუფუნებად“ მიაჩნიათ და სწავლებაზე საერთოდ ხელი აქვთ აღებული. მათი გონება მხოლოდ დროის თავისუფალ გატარებაზეა გადართული. მშობლების სიყვარულს მოკლებულები

მობილური ტელეფონებით და სერიელების ყურებით არიან დაინტერესებულები. პრობლემა მართლაც სერიოზულია, გლობალური და აქტუალურია.

### 1.3 საკვლევი საკითხის მიმოხილვა

„ყველას ერთ ადღზე ვერ გამოჭრი“- ქართული ანდაზაა. ამ ანდაზიდან გამომდინარე უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად განსხვავებული სტილისა და შესაძლებლობებისა აუცილებელი არაა, რომ თითოეულ მოსწავლეს „მასზე გამჭოლი“ სასწავლო აქტივობა უნდა მიუსადაგოთ, არამედ სასურველია და თანაც აუცილებელია თითოეული მათგანის ჩართვა მრავალფეროვან აქტივობებში, რომლებიც საინტერესო იქნება მოსწავლეთათვის. აღნიშნული მრავალფეროვნება მოსწავლეებს ყოველთვის პედაგოგებმა უნდა შესთავაზოს. მოსწავლეები მართალია ერთანეთისაგან განსხვავდებიან. შესაძლოა ზოგი მათგანისთვის დამოუკი დებელი სწავლება იყოს ყველაზე ნაყოფიერი, ზოგს კი თანამშრომლობითი სწავლა უფრო უადვილდებოდეს, სხვებისთვის კი კონკურენციის პირობებში იყოს უფრო ეფექტიანი. აქედან გამომდინარე, ყველა მოსწავლესთან სწავლების სამივე სახის გამოყენებისას, მოსწავლეებს შეიძლება გაუჭირდეთ გარკვეული სიძულვილის დაძლევა, დროთა განმავლობაში უნარ-ჩვევები ვითარდება, მათ მეტი შესაძლებლობები გამოუმუშავდებათ. კვლევები ადასტურებს, რომ მოსწავლე ყველაზე მეტად უკეთ მაშინ სწავლობს, როდესაც აქტიურია და ქმედითია, და არა მაშინ, როცა მხოლოდ აქტიურ და ქმედით მასწავლებელს უყურებს. აგრეთვე საყურადღებოა ისიც, რომ მოსწავლეთა ჩართულობა, საბაზო და მითუმეტეს საშუალო საფეხურზე მოსწავლეთა დაინტერესება, ძალიან რთულია. თინეიჯერობის ასაკში მოსწავლეებს სხვა ინტერესები უჩნდებათ. ეს არის პერიოდი ბავშვობასა და მოწიფულობას შორის, მისი ხანგრძლივობა თანამედროვე ეპოქაში სულ უფრო და უფრო იზრდება, ვინაიდან მოწიფულობის მიღწევამდე ძალიან ბევრი ცოდნა და უნარ-ჩვევა დასაუფლებელი. აღნიშნულ პერიოდში მოზარდის ორგანიზმში კარდინალური ცვლილებები მიმდინარეობს. იწყება ფიზიკური განვითარების ახალი ეტაპი, დგება სქესობრივი მომწიფების პერიოდი. თითოეული მოსწავლე ინდივიდუალურია, ამიტომ ამ პერიოდის გავლა მათ განსხვავებულად უხდებათ, რასაც გარედან ხელის შეწყობა სჭირდება და რაც მნიშვნელოვანია



დახმარება. ამ პერიოდში იწყება თვითშემეცნების რთული პროცესი. პასუხის მიება „ვინ ვარ?“, „როგორ ვარ?“. ამ პერიოდში იცვლება მოზარდის ურთიერთობების სტილი მშობლებსა და თანატოლებთან. მოზარდები უფროსებისაგან ითხოვენ თანასწორუფლებიან ურთიერთობებს. გარდატეხვის ასაკისათვის დამახასიათებელ ნიშნებს წარმოადგენს ახალი ღირებულებების, ახალი ქცევების ჩამოყალიბებისაკენ მიმართული ექსპერიმენტები. ზემოთ ჩამოთვლილი მახასიათებლებისა და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით ჩემი კვლევის მიზანია ქიმიის გაკვეთილებზე მოსწავლეთა ჩართულობის გაუმჯობესების გზების ძიება და მოსწავლეთა ცოდნის დონის ამაღლება.

## თავი-II

### ლიტერატურის მიმოხილვა

საგაკვეთილო პროცესში მოსწავლეთა ჩართულობა ყველაზე მნიშვნელოვანი და მეტად აქტუალური საკითხია. მოსწავლეთა გააქტიურების მიზნით თანამედროვე პედაგოგები მრავალ ხერხს მიმართავენ. ამ მიზნით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლება, რაც ხელს უწყობს მოსწავლეებში განათლების, ცოდნის და სამყაროს მიმართ პოზიტიური დამოკიდებულებების ჩამოყალიბებას. ამიტომ კვლევა სრულყოფილად რომ ჩამეტარებინა გადავწყვიტე მომეძებნა და დამემუშავებია საჭირო ლიტერატურა მოტივაციის შესახებ. პედაგოგებების უმრავლესობა თანხმდება, რომ მოსწავლეთა მოტივირება, ინტერესის გაღვივება ერთ-ერთი კრიტიკული საკითხია პედაგოგიკაში. მოსწავლეები კოგნიტურად, ემოციურად, თუ ქცევით ჩართული უნდა იყვნენ პროდუქტიულ საკლასო აქტივობებში. მოტივაციის თეორიის ფუძემდებლები აღიარებენ მოტივაციის ოთხ ძირითად თეორიას: ბიჰევიორისტულს, ჰუმანისტურს, კოგნიტურსა და სოციოკულტურულს. მოტივაციას, როგორც წესი ასეთნაირად განმარტავენ: „ესაა შინაგანი მდგომარეობა, რომელიც აღძრავს, წარმართავს და უზრუნველყოფს ქცევას.“ (ჟურნალი მასწავლებელი 2016 წლის N6). სტატიაში, რომელიც გამოცემულია მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის მიერ 2008 წელს „სწავლება და შეფასება“ ხასგასმით აღნიშნულია, რომ მოტივაციის ამაღლების

მირითადი საშუალება, რომელიც გაზრდის სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ჩართულობის ხარისხს არის: პიროვნული ურთიერთობები, სასწავლო ატმოსფერო და რათქმა უნდა საგნის მასწავლებლის მოთხოვნები. თოფადის აზრით მოტივაციის ამაღლებისათვის მნიშვნელოვანია პიროვნული ურთიერთობები, რადგანაც მასწავლებელი მოვალეა კარგი პიროვნული ურთიერთობები დაამყაროს თავის მოსწავლეებთან. აგრეთვე მასწავლებელი მოვალეა, რომ მოსწავლეს აგრძნობინოს თავი ღირსეულ, პატივსაცემ ადამიანებად და შექმნას დაცული, კომფორტული, ჯანსაღი გარემო, სადაც სწავლა სასიამოვნო პროცესად იქცევა. კვლევებმა ვხადყო, რომ მოსწავლეები, რომლებსაც მოსწონთ მასწავლებელი კეთილსინდისიერად ეკიდებიან სასწავლო პროგრამას, ნაკლებად ქმნიან დისციპლინურ პრობლემებს და ითვალისწინებენ მასწავლებლის მოთხოვნებს და რაც მთავარია მასწავლებლებს უყვართ ასეთი მასწავლებლები(მასწავლებელთა კარიერული წისვლის სქემა- მაწილი მეორე. გვ.10). კარგმა მასწავლებელმა იცის, რომ მაღალი აკადემიური მოსწრებისათვის სასურველ ატმოსფეროს ქმნის; გუნდურობა, თანამშრომლობა, დაცულობა, ნდობა, პიროვნული ღირსების შეგრძნება. თოფადის აზრით-„კარგმა მასწავლებელმა იცის, რომ ჩართულობის ხარისხის გაუმჯობესებისთვის სასურველ ატმოსფეროს ქმნის გუნდური თანამშრომლობა, დაცულობა, პიროვნული ღირსებების შეფასება. როცა ბავშვები სკოლაში სტუმრად არ გრძნობენ თავს, ნებისმიერ სამუშაოს ითვისებენ.(გვ-16). ფსიქოლოგთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ მასწავლებელს არ შეუძლია მოსწავლეს უშუალოდ გადასცეს ცოდნა, მოსწავლემ თვითონვე უნდა ააგოს ცოდნა გონებაში. მასწავლებელი მას მხოლოდ ეხმარება ცოდნის აგებაში. მას შეუძლია გამოიყენოს სწავლების ისეთი მეთოდები, რომლებიც ახალ ინფორმაციას მოსწავლისათვის საინტერესოს და მნიშვნელოვანს გახდის, მისცეს მოსწავლეებს ცოდნის აღმოჩენისა და ახალი იდეების განხორციელების შესაძლებლობა და ასწავლოს მათ სწავლის ეფექტური სტრატეგიების გამოყენება.მასწავლებელს შეუძლია ასწავლოს მოსწავლეს გზა, რომელიც მათ სამყაროს უკეთ შეცნობაში დაეხმარება, მაგრამ ამ გზის გავლა უკვე მოსწავლეების პასუხისმგებლობაა(კოგნიტური განვითარების თეორია-გვ. 13) საინტერესო აღმოჩნდა

ჩემთვის საკითხები მოსწავლეთა საგაკვეთილო პროცესში ჩართულობაზე, რომელსაც ვკითხულობთ ეროვნულ სასწავლო გეგმაში. კერძოდ:

ეროვნული სასწავლო გეგმის ფუნდამენტური პრინციპია სასურველ შედეგზე ორიენტირება, რაც გულისხმობს მოსწავლეთათვის ქმედითი, დინამიური და ფუნქციური ცოდნის გადაცემას. საბუნებისმეტყველო საგნებში სასწავლო პროცესი ორიენტირებული უნდა იყოს არა მხოლოდ თეორიული ცოდნის გადაცემაზე, არამედ კვლევის უნარების განვითარებაზეც. ეროვნული სასწავლო გეგმის ბუნებისმეტყველების საგნობრივი სტანდარტის თანახმად, ცოდნის და კვლევა-ძიების მიმართულება გამიჯნულია, რაც ვალდებულს ხდის მასწავლებელს მოსწავლეს არამარტო მიაწოდეს ცოდნა, არამედ განუვითაროს კვლევის დაგეგმვის და ჩატარების უნარი. (4) გავეცანი აგრეთვე ჯონ დიუის მოსაზრებას, რომელიც თვლიდა, რომ განათლება უნდა ემყარებოდეს გამოცდილებას და არა ფაქტების დამახსოვრებას. მისი სლოგანია „სწავლა კეთებით“. აღნიშნული სქემის მიხედვით, სწავლის ეტაპებია: პრობლემის აღმოჩენა, პრობლემის განსაზღვრა, გადაჭრის გზების შეთავაზება, ამ გზების შეფასება წარსული გამოცდილებების საფუძველზე, საუკეთესო გზის გამოცდა.

„სწავლა კეთებით“ საბუნებისმეტყველო საგნების პრიორიტეტია, დაწყებით საფეხურზე საბუნებისმეტყველო საგნების მნიშვნელოვანი ამოცანაა საფუძველი ჩაეყაროს ფუნდამენტურ ცოდნას. სწორედ ამ საფეხურზე განხორციელებული აქტივობებით და საინტერესოდ დაგეგმილი საგაკვეთილო პროცესით მასწავლებელმა უნდა მიაღწიოს მოსწავლეების საგნით დაინტერესებას, მოტივირებას, რასაც ადექვატურად მოჰყვება მოსწავლეთა მხრიდან შედეგების გაუმჯობესება. ამ საფეხურზე დაგროვილი ცოდნა მნიშვნელოვან როლს თამაშობს მომდევნო საფეხურებზე საბუნებისმეტყველო საგნებში კომპენტენციების განვითარებაში. ფაქტობრივი ცოდნის ზრდა მასწავლებელმა ორგანულად უნდა დაუკავშიროს თემის შინაარსიდან გამომდინარე ექსპერიმენტებისა და კვლევების დაგეგმვა-განხორციელებას, რაც ზრდის სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ჩართულობას და დადებითად მოქმედებს მათ მოტივაციაზე.

მოსწავლეთა საგაკვეთილო პროცესში ჩართულობის ამაღლება და საგნით დაინტერესება დამოკიდებულია მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის ურთიერთობაზე. აღნიშნული საკითხი კარგად აქვს დამუშავებული თანამედროვე პედაგოგის თვალსაჩინო წარმომადგენელს ჯონ საფაირს, რომელიც ამბობს : „არაფერი განაპირობებს მოსწავლის ქმედებებს ისე ძლიერად, როგორც მისთვის მნიშვნელოვანი ადამიანის მკაფიო მოთხოვნები“ მოსწავლისათვის მნიშვნელოვანი ადამიანი მასწავლებელია. მასწავლებლის მოთხოვნები კი გაკვეთილის პროცესის დიდ ნაწილს წარმოადგენს. სასწავლო ატმოსფეროს აყალიბებს მოსწავლისა და მასწავლებლის დამოკიდებულება დასახული მოთხოვნების მიმართ. (საფაიარი და გაუერი. 1997წ). მოსწავლეთა საგაკვეთილო პროცესში ჩართულობის და სწავლის მოტივაციას განაპირობებს: ცნობისმოყვარეობა, თვითრწმენა, დამოკიდებულებები და მოთხოვნები. მასწავლებლის მიერ ინფორმაციის ენთუზიაზმითა და წამახალისებელი ფორმით მიწოდება მოსწავლეებში მოტივაციის ამაღლებას უწყობს ხელს, რაც საბოლოო ჯამში ზრდის საგაკვეთილო პროცესში მოსწავლეთა ჩართულობას. ( მოტივაცია და მოტივაციის ამაღლების საშუალებები. გვ.-25). მოსწავლე აქტიურად რომ ჩაერთოს სასწავლო პროცესში, ამისათვის საჭიროა ის დარწმუნებული იყოს საკუთარ შესაძლებლობებში და დასახული მიზნის მიღწევაში ეჭვი არ უნდა ეპარებოდეს. სტატიაში-„ სწავლის მოტივაციის შიგა ფაქტორები“ ვკითხულობთ, რომ მასწავლებლის ამოცანაა მოსწავლეს გაუღვიძოს ცნობისმოყვარეობა შესასწავლი საკითხის მიმართ, რაც გონებას მიმართავს პასიურობიდან აქტიურობისაკენ. რთულ ინფორმაციულ გარემოში მნიშვნელოვანია მასწავლებელმა შეასრულოს გზამკვლევის როლი მოსწავლეთა პოზიტიური დამოკიდებულებების ჩამოყალიბებაში. ( ჟურნალი მასწავლებელი -2012 წელი N2). სტატიაში „სტრატეგიების სწავლა მოტივაციის გასაზრდელად“ ვკითხულობთ: მოსწავლეთა ინტერესები აუცილებლად დაკავშირებული უნდა იყოს აქტივობებთან, რომლებიც გამოიწვევს მათ ცნობისმოყვარეობას. მასწავლებელმა შეიძლება ბევრი გაკვეთილი წარმართოს თამაშებისა და სიმულაციების გზით. მიუხედავად მრავალფეროვნებისა დასახულ მიზანს ვერ მიაღწიოს და სასურველ შედეგზე ვერ გავიდეს. მართალია და თანაც სასურველია, რომ გაკვეთილის დაგეგმვისას

საჭიროა მრავალფეროვანი აქტივობები. ამასთან დავალებები გამომწვევი უნდა იყოს, მაგრამ ადექვატური. თუ დავალება ძალიან მარტივი ან მეტისმეტად ძალზედ რთულია მოსწავლეებს მცირე მოტივაცია ექნებათ“ (სტატიები სწავლის მოტივაციების გადასაზრდელად 2015 წელი. ბერძენიშვილი) ლობჯანიძის სტატიაში „როგორ წარმართოთ პრედაგოგიური პრაქტიკის კვლევები“ („მასწავლებელი“- 2012 წლის 3 მაისი) ვკითხულობთ: საგაკვეთილო პროცესში მოსწავლეთა მაღალი ჩართულობის მნიშვნელოვანი პედაგოგიური ამოცანაა მოსწავლეთა მოტივაციის ზრდა. მოტივაცია იზრდება, როდესაც მოსწავლე ხედავს, რომ მასწავლებლის პრიორიტეტი მისი წინსვლის ხელშეწყობაა და პირიქით იკლებს, როდესაც მიაჩნია, რომ მასწავლებლის პრიორიტეტი მისი შედეგის განსჯა და შეფასებაა. მოტივაცია იზრდება მაშინაც, როდესაც მოსწავლე ხედავს დავალების მიზანს, დარწმუნებულია მის საჭიროებაში . ამიტომ მნიშვნელოვანია მასწავლებელმა გააგებინოს რა მიზანს ემსახურება კონკრეტული დავალება, დაანახოს კავშირი სკოლაში მიმდინარე საქმიანობასა და სკოლის გარეშე ცხოვრებას შორის. ჩართულობა თანამედროვე საგანმანათლებლო პროცესში მოსწავლეთა განსაკუთრებულ აქტიურობას მოითხოვს. ეს გულისხმობს მათ აქტიურ მონაწილეობას არა მხოლოდ განათლების მიღების, არამედ თანატოლთა სწავლების პროცესშიც. გაკვეთილზე ჯგუფური მუშაობისას, პროექტებში მონაწილეობისას, წარმოდგენების დაგეგმვისა თუ განხორციელებისას მოსწავლეები ერთმანეთს ეხმარებიან სხვადასხვა კონცეფციის უკეთ გაგებაში, უნარეჩვევების დაუფლება- განვითარებისა და დამოკიდებულებათა ჩამოყალიბებაში, რაც თავისთავად გულისხმობს გაკვეთილის პროცესში მათ მონაწილეობას. მოსწავლე, რომელიც ჩართულია სწავლის პროცესში, თუ ის მნიშვნელოვან ძალისხმევას იჩენს დავალების შესრულებისას, ზრუნავს შესრულებული ხარისხზე და ამასთან, შესრულებულ სამუშაოს მისთვის დიდი ღირებულება აქვს. ასეთი მოსწავლეები გამოხატავენ უფრო მეტი ცოდნის შეძენის სურვილს და პოზიტიურ დამოკიდებულებას სკოლისა და სწავლის მიმართ. გარდა ზემოთ აღნიშნულისა პედაგოგიური პრაქტიკის კვლევისას დიდად დამეხმარა ჟურნალში „მასწავლებელი“ დაწერილი სხვა ავტორთა სტატიები, მასწავლებელთა დამხმარე სახელმძღვანელოები „სწავლა და შეფასება“-მეორე ნაწილი,

მასწავლებლის საქმიანობის დაწყების „პროფესიული განვითარების და კარიერული წინსვლის სქემის გზამკვლევი. ნაწილი 2. აღნიშნული სახელმძღვანელო საუკეთესო რესურს წარმოადგენს, როგორც დამხმარე სახელმძღვანელო თითოეული მასწავლებლისთვის, რომელიც გვაწვდის დეტალურ ინფორმაციას თუ როგორ დავგეგმოთ პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა, რა ნაბიჯები უნდა გადავდგათ კვლევის განხორციელებისათვის და რა ეტაპები უნდა დავიცვათ. საინტერესოა აგრეთვე სტატია „ როგორ წარმართოთ პედაგოგიური პრაქტიკის კვლევები“, რომელშიც მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული იმ პროფესიული ჩვევების შესახებ, რომელიც უნდა გავითვალისწინოთ კვლევის განხორციელებისას. ავტორის აზრით“პედაგოგიური კვლევები მართო სირთულეების გადასალახავად კი არ არის საჭირო, არამედ გვაწვდის იდეებს, ინოვაციების გამოსაცდელადაც, საკუთარი ძლიერი მხარის, შესაძლებლობებისა და პოტენციალის აღმოსაჩენად, კვლევის ჩასატარებლად საჭირო უნარების განსავითარებლად. ( ჟურნალი მასწავლებელი“როგორ წარმართოთ პედაგოგიური კვლევები“ ლობჯანიძე). რაოდენობრივი და თვისობრივი მეთოდების კვლევაში გამოყენების მიზნით საინტერესო იყო ინტერნეტში მოძიებული ინფორმაციები წულაძისა და ზურაბიშვილის ნაშრომებში, რომლებშიც საუბარია თვისობრივი და რაოდენობრივი მეთოდების ღირებულებებზე კვლევის წარმატებით განხორციელების გზაზე, ისეთ მეთოდებზე, როგორიცაა: ფოკუს ჯგუფები, სიღრმისეული ინტერვიუ, ანკეტირება თუ კითხვარების შევსება. კვლევის განხორციელებისას გამოვიყენე აგრეთვე კოლეგების პედაგოგიური გამოცდილება მათი საქმიანობიდან გამომდინარე. კითხვარები დავარიგე როგორც მოსწავლეებში, მათ მშობლებში ასევე მასწავლებლებშიც. მიღებული პასუხები დამეხმარა სწორი ანალიზის გაკეთებაში. რადგან სკოლაში ქიმიის მხოლოდ ერთი მასწავლებელი ვმუშაობ, ამის გამო გადავწყვიტე საბაზო, საშუალო საფეხურის ყველა მასწავლებელი გამომეკითხე. მათი პასუხების საფუძველზე დამესახა სამოქმედო გეგმა, რომელიც დამეხმარებოდა არსებული პრობლემის გადასაჭრელად საჭირო გზების მოძებნაში. ნაშრომის მომზადებაში ძალიან დამეხმარა აგრეთვე სტატია თემაზე: „როგორ ვაწარმოოთ პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა“, რომელშიც დაწვრილებითაა მოთხრობილი როგორ

შეიძლება დავგეგმოთ პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა, როგორ შეიძლება ჩვენ პედაგოგიურ საქმიანობაში აღმოვაჩინოთ პრობლემები, მოვახდინოთ მათი ინდენტიფიცირება, დასახული მიზნის მისაღწევად სამიზნე ჯგუფების სწორი შერჩევა, ეთიკის საჭირო ნორმების დაცვა და ბოლოს შესრულებული სამუშაოს ადეკვატური ანგარიშის წარდგენა. კვლევის განხორციელებაში დიდი დახმარება გამიწია ზურაბაშვილი თ. სტატიათ თემაზე: „თვისებრივი მეთოდები სოციალურ კვლევაში“ (სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი- 2006წ), სადაც ვკითხულობთ: საგაკვეთილო პროცესში მოსწავლეთა ჩართულობაზე დიდი გავლენას ახდენს მოზარდთა პიროვნული და სოციალური განვითარების დონე, რაც მნიშვნელოვან როლს თამაშობს თანატოლებს შორის არსებულ ურთიერთობებზე. თანატოლებთან ურთიერთობა მოსწავლეებს შესაძლებლობას აძლევს, ისწავლონ და გამოიყენონ შემდეგი სოციალური უნარ-ჩვევები: მოლაპარაკება, დარწმუნება, თანამშრომლობა, კომპრომისზე წასვლა, ემოციური კონტროლი და კონპლიქტების გადაჭრა. ამავე დროს თანატოლები ხშირად უწევენ ერთმანეთს სოციალურ და ემოციურ მხარდაჭერას, რაც მათ ძალიან სჭირდებათ. სოციალური ინფორმაციის ბავშვებს, მოზარდებს ბევრ რამეზე უწევთ ფიქრი, როცა ცდილობენ გაიგონ, თუ რას ფიქრობენ, გრძნობენ და აკეთებენ სხვა ადამიანები. აგრეთვე საგაკვეთილო პროცესში მოსწავლეთა ჩართულობაზე ხშირად უარყოფითად მოქმედებს მოსწავლეთა მხრიდან აგრესია. აგრესიული საქციელი არის ქმედება, რომელიც მიზნად ისახავს სხვა ადამიანისადმი ფიზიკური და ფსიქოლოგიური ტკივილის მიყენებას. ფიზიკური აგრესია, გულისხმობს ქმედებას, რომელმაც შეიძლება სხეულის ფიზიკური დაზიანება გამოიწვიოს. ბავშვებში აგრესიის განვითარებას გარკვეული კოგნიტური, იტერექტუალური და მოტივაციის ფაქტორები უწყობს ხელს: სამყაროს სხვა ადამიანის თვალთ დახახვის უნარის ნაკლებობა, სოციალური სიგნალების არასწორად ინტერპრეტაცია, ეგოისტური მიზნების სიჭარბე, რწმენა იმისა, რომ აგრესია მისაღები და ეფექტურია. ზემოთ ჩამოთვლილი თითოეული ფაქტორის აღმოსაფხვრელად მასწავლებელმა საკუთარი პედაგოგიური საქმიანობისას დიდი ყურადღება უნდა დაუთმოს, რათა ხელი შეუშალოს მოზარდებში აგრესიის ელემენტების გაღვივებას.

პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის განხორციელებაში ცნობილი პედაგოგების ნაშრომებიდან დიდი დახმარება გამიწია უზნაძის პედაგოგიურმა კონცეფციამ, რომელიც ჩამოყალიბდა 1910-1916 წლებში. თავის ადრეულ სტატიებში („აღზრდის მიზნები“ 1910 წ.) უზნაძე წერდა: „აღზრდის ტრეგედიის „გადაღახვაში, უეჭველია, გადამწყვეტ როლს ასრულებს მასწავლებელი, რომელსაც ძალუძს ადამიანის არსში შეღწევა. პედაგოგიური პროცესის ძირითად პირობას წარმოადგენს სწორედ ბავშვის ბუნების უშუალო წვდომა, მისი გრძნობებისადმი, „სულიერი მღელვარებისადმი“ თანაგრძნობა, ის, რასაც ახლა ემპათიურ უნარებს ეძახიან. სწორედ, მასწავლებელს, რომელსაც ხელეწიფება მოზარდის სულიერი სამყაროს შემეცნება, მას არ გაუჭირდება მისი აღზრდა და სასწავლო პროცესში ჩართვა. ამ მხრივ საინტერესოა უზნაძის პოზიცია პედაგოგიური უნარების სპეციფიკის განხილვაში, რომელთაც იგი ადარებს მხატვრული შემოქმედის შთაგონებას და პედაგოგიკას ხელოვნებად მიიჩნევს. უზნაძის თქმით გარემო ქმნის განწყობას, განწყობა კი ქცევას. აღმზრდელმა ყოველთვის უნდა იზრუნოს ეფექტური და ეფექტიანი სასწავლო გარემოს შექმნისთვის. საყურადღებოა აგრეთვე ის ძირითადი დებულებები, რომლებიც დაგვეხმარება მოსწავლეები აქტიუტად ჩავრთოთ საგაკვეთილო პროცესში და დავეხმაროთ ცოდნის ეფექტურად აგებაში:

- მიეცით მოსწავლეებს ექსპერიმენტების ჩატარების შესაძლებლობა. ეს მათ სამყაროს თავისებურებების და პრინციპების დამოუკიდებლად აღმოჩენაში და შეცნობაში დაეხმარება.
- დაეხმარეთ მოსწავლეებს სხვადასხვა ცნებების და პრინციპის ერთმანეთთან ლოგიკურად დაკავშირებაში. რაც უფრო მეტ ცნებას და პრინციპს დააკავშირებენ ერთმანეთთან, მით უფრო ადვილად დაიმახსოვრებენ და ეფექტურად გამოიყენებენ მომავალში სასწავლო მასალას.
- ჩართეთ მოსწავლეები საკლასო დისკუსიებში. მიეცით მათ შესაძლებლობა წყვილებში და ჯგუფებში განიხილონ საკლასო მასალა.



- მიეცით მოსწავლეებს ისეთი დავალებები, რომლებიც რეალურ სამყაროსთან არის დაკავშირებული
- წააქეზეთ მოსწავლეები, რაც ამადლებს მოტივაციას და ხელს შეუწყობს საგაკვეთილო პროცესში მათ ჩართულობას.

უზნაძე აღნიშნავდა, რომ ბავშვის განვითარება მხოლოდ აქტივობის პროცესშია შესაძლებელი. სწავლის პროცესის ეფექტიანობისათვის, პირველ რიგში ბავშვი ამ პროცესის მიმართ უნდა ყოფილიყო დადებითად განწყობილი. უზნაძის აზრით: სოციალური და მოქალაქეობრივი აღზრდა იმდენად არ ეყრდნობა ცოდნას, რამდენადაც მოქმედებებსა და მის ტენდეციებს.... მოზარდის ცნობიერებაში საბოლოოდ უნდა ჩამოყალიბდეს შეგნება, რომ იგი საზოგადოებრივი ერთეულის წევრია და მთელი მისი მოღვაწეობა ამ ერთეულის ინტერესით მოძრაობს.

(უზნაძე „პედაგოგიური თხზულებანი“ გვ. 418) რაც უფროსს საინტერესოდ მიაჩნია, შეიძლება ის ბავშვისთვის სულაც არ იყოს საინტერესო. ამიტომ, პედაგოგი უნდა იცნობდეს ბავშვის ინტერესთა ფსიქოლოგიას. სწორედ, ყურადღებასთან მჭიდროდ არის შეკავშირებული ბავშვის ინტერესი. იქ სადაც არ არის ინტერესი, ყურადღების კარი დახშულია და მასთან ერთად ცნობიერების ბჭენიც. ჩვენ გვესაჭიროება აქტიური ინდივიდები.(დ. უზნაძე-პედაგოგიური თხზულებანი გვ. 88) უზნაძე პედაგოგებს მოუწოდებდა, რომ აქცენტი არ გაეკეთებინათ პიროვნების მხოლოდ ინტელექტუალურ განვითარებაზე, საუბრობდა ადამიანის მთლიანი ბუნების მოქმედებაში მოყვანაზე. კვლევის პროცესში აგრეთვე საინტერესო მასალებს გავეცანი რევაზ ანთაძის ფსიქოლოგიურ ნაშრომებში, სადაც საუბარი იყო მოსწავლეთა ყურადღებაზე. მისი აზრით ყურადღების მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს ცვლილებები. ცვლილება და სიახლე იზიდავს მოსწავლის ყურადღებას.( რ. ანთაძე.

„ფსიქოლოგიის მოკლე კურსი“ გვ. 122) მოსწავლეებში თანამშრომლობითი უნარების აუცილებლობაზე საუბრობდა ვიგოდსკიც. მისი აზრით მასწავლებელი მოსწავლეს აძლევს მიმართულებას და მოსწავლეები თავად აგებენ ცოდნას. როდესაც მოსწავლეები ერთად მუშაობენ“ ზოგიერთი იყენებს ეგოცენტრულ

მეტყველებას, რაც საშუალებას აძლევს სხვა მოსწავლეებს გაიგონ და ისწავლონ თუ რა აზროვნების პროცესებს იყენებენ მათი თანატოლები. სწორი პასუხის მისაღებად ერთობლივი მუშაობა ხელს უწყობს კოგნიტურ და სოციალურ განვითარებას, მოტივაციის ამაღლებას. („განვითარებისა და სწავლების თეორიები“ გვ. 110) ვიგოდსკისა და უზნაძის თეორიები ემთხვევა როდესაც საუბარია მოსწავლეთა თანამშრომლობაზე, აქტიურ ქმედებებზე. ორივე აღიარებს ამ უნარების განვითარების აუცილებლობას.

საინტერესოა გარდნერის აზრიც- „მოსწავლეებში ინტელექტის რვავე ფორმის ჩამოყალიბებაზე ზრუნვა იწყება სკოლის ასაკიდან.“ დაუშვებელია მოსწავლის ერთ ინტელექტის სფეროში კლასიფიცირება. აუცილებელია მასწავლებელმა ისეთ სასწავლო აქტივობებს მიმართოს, რომელიც ბავშვის არამხოლოდ ერთი, არამედ სხვადასხვა მიმართულებით განავითარებს. სასწავლო პროცესის ეფექტიანად წარმართვის წინპირობას ბავშვის კარგად გაცნობა მისი შედარებით განვითარებული თუ გასავითარებელი უნარების გათვალისწინება წარმოადგენს. მაშინ, როცა მასწავლებელმა იცის მოსწავლის შესაძლებლობები მას არ გაუჭირდება მისი დაინტერესება სასწავლო თემით და საგაკვეთილო პროცესში მისი ჩართვა.“

გარდნერისეული მრავალმხრივი ინტელექტის თეორია ყველასთვის მისაღები არ არის. ზოგიერთი მკვლევარი მას აკრიტიკებს და მიიჩნევს, რომ ის რასაც გარდნერი მრავალმხრივ ინტელექტად ყოფს, სინამდვილეში ერთი ინტელექტია. მიუხედავად ამისა, სკოლებისა და მასწავლებლების უმეტესი ნაწილი გარდნერის მრავალმხრივი ინტელექტის თეორიას წარმატებით იყენებს მოსწავლეების საგაკვეთილო პროცესში ჩასართავად და მათი მიღწევების დონის გასაუმჯობესებლად. ლიტერატურის მოძიებამ და გაცნობამ დიდი დახმარება გამიწია უფრო ღრმად და ახლებურად შემეხედა აღნიშნული პრობლემისთვის. ამრიგად, მოსწავლეთა საგაკვეთილო პროცესში მაღალი ჩართულობა რომ შედგეს საჭიროა კლასში მყოფი მოსწავლეთა ინტერესების, ემოციური მდგომარეობის გათვალისწინება, რაც დიდად დახმარება მოსწავლეთა შორის შევძლო ეფექტური კომუნიკაციისა და საქმიანი თანამშრომლობის დამყარება. დავრწმუნდი, მიზანს რომ მივაღწიო ამისათვის საჭიროა სისტემატიურად მოსწავლეებს შევთავაზო

მათვის საინტერესო ასაკის შესაბამისი ცვლილებები, სიახლეები, მოვებნო სხვადასხვა გზა მათში ინტერესის გასაღვიძებლად.

## თავი-III

### 3.1 საკვლევი კითხვარის ფორმულირება

ჩემ მიერ განხორციელებული პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის მთავარი კითხვა იყო: რა იწვევდა საბაზო, საშუალო საფეხურზე სასწავლო პროცესში მოსწავლეთა დაბალ ჩართულობას ქიმიის გაკვეთილებზე? საკვლევი პრობლემებიდან გამომდინარე ყურადღება გავამახვილე შემდეგ ძირითად საკითხებზე:

1. ძირითადად რა აინტერესებთ მოსწავლეებს. როგორ შევძლო საგაკვეთილო პროცესის მორგება მოსწავლეთა ინტერესებზე;
2. არიან თუ არა მოსწავლეთა მშობლები შვილების სწავლა-აღზრდის საქმეში ჩართულები;
3. რას თვლიან მშობლები საკუთარი შვილების დაბალი მოტივაციის მიზეზად;
4. მასწავლებლებსა მოსწავლეებს შორის ურთიერთობა არის თუ არა კეთილსინდისიერი, პოზიტიური და ერთმანეთის პატივისცემაზე დამყარებული;
5. მოსწონთ თუ არა მოსწავლეებს ქიმიის გაკვეთილებზე გამოყენებული სწავლების სტრატეგიები და სასწავლო აქტივობები;
6. საერთოდ არის თუ არა ქიმიის გაკვეთილები მოსწავლეებისთვის საინტერესო;
7. ზრუნავს თუ არა საგაკვეთილო პროცესში მასწავლებელი მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებაზე;
8. რამდენად მოსწონთ მოსწავლეებს ქიმიის სახემმდგანელოები;
9. ხომ არ არის პრობლემის მიზეზი სახემმდგანელოს ტესტების მოცულობა და სირთულე;

10. გასაგებია თუ არა მასწავლებლის სამეცნიერო ენა მოსწავლეებისათვის ქიმის გაკვეთილებზე;
11. რა დაეხმარებათ მოსწავლეებს სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაში.

### 3.2 კვლევის მიზანი და ამოცანები

პრობლემის იდენტიფიცირების შემდეგ მნიშვნელოვანი იყო ჩამომეყალიბებია არსებული პრობლემის გამომწვევი სავარაუდო მიზეზები. ჩემ მიერ გადასაჭრელი პრობლემის- **სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ჩართულობის გაუმჯობესების კვლევა ქიმის გაკვეთილებზე**, შესახებ ვესაუბრე სკოლის პედაგოგებს, აგრეთვე საბუნებისმეტყველო კათედრის წევრებს, მოვისმინე თითოეული მათგანის აზრი. მათთან საუბრის შემდეგ გამომწვევ სავარაუდო მიზეზებად მივიჩნიე რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი:

1. ჩემი აზრით მნიშვნელოვანი მაინც არის მოსწავლეთა გარდატეხის ასაკი, რის გამოც მოსწავლეებს უყალიბდებათ ერთმანეთისაგან განსხვავებული ინტერესები, მისწრაფებები, ღირებულებები. მათ ირგვლი შექმნილმა გარე სამყარომ, მეცნიერულ ტექნიკური პროგრესის დანერგვამ, კომპიუტერებმა და მოხარდების ტელეფონებზე დამოკიდებულებამ, მათი ხშირმა მოხმარებამ, მოსწავლეების უმეტესი ნაწილი დააშორა წიგნს, უმეტესობისთვის უინტერესო გახდა სასწავლო სახელმძღვანელოები და კლასგარეშე საკითხავი მხატვრული ლიტერატურა. მათთვის საინტერესო თემები მოსწავლეებს მხოლოდ ტელეფონებით სურთ მოიძიონ. წიგნი კი მეორეხარისხისა და უინტერესოა. ვფიქრობ, წიგნთან გაუცხოება პრობლემის მთავარ მიზეზად შეძლება ჩაითვალოს.

- ✓ 2. დაბალი საფეხურის მოსწავლეები მეტ ინტერესს იჩენენ საგნებისადმი და საერთოდ აქტიურად არიან ჩართულები სასწავლო პროცესში. თანაც დაწყებით საფეხურზე სასწავლო მასალა შედარებით მცირე მოცულობისაა, თანაც ადვილად ასათვისებელი. მშობლებიც შვილების გვერდით დგანან, შვილებს

ეხმარებიან დასწავლაში, ზრდიან მოსწავლეთა დაინტერესებას სასწავლო პროცესისადმი. საშუალო საფეხურზე კი სასწავლო თემები დიდი მოცულობისაა, შედარებით დიდი მოცულობისაა, გართულები. მშობლები ნაკლებად არიან ჩართულები შვილების სწავლა-აღზრდის საქმეში. ზოგჯერ კი უფრო კრიტიკულ სიტუაციის მონაწილე ვხვდებით. შვილები მშობლების სიყვარულის გარეშე იზრდებიან და მეტ თავისუფლებას ღებულობენ. ხშირად უპატრონოდ მიტოვებულები აცდენენ გაკვეთილებებს, რის გამოც უჭირთ გაცდენილი გაკვეთილის გაგება-დასწავლა. ყოველივე ზემოთ აღნიშნული კი დაბლა სწევს მოსწავლის მოტივაციას და აქვეითებს სწავლის ხარისხს.

#### თავი-IV

##### 4.1 კვლევის ვადები

ცხრილი N1

| აქტივობა                      | ოქტომბერი | ნოემბერი | დეკემბერი | იანვარი | თებერვალი | მარტი | აპრილი |
|-------------------------------|-----------|----------|-----------|---------|-----------|-------|--------|
| პრობლემის ინდენტიფიცირება     | ✓         |          |           |         |           |       |        |
| კვლევის საჭირო გეგმის შედგენა |           | ✓        |           |         |           |       |        |
| კითხვების შედგენა და დაუშვება |           | ✓        |           |         |           |       |        |
| სამიზნე ჯგუფი-მოსწავლეები     |           | ✓        |           |         |           |       |        |

|  |  |  |   |  |  |   |   |
|--|--|--|---|--|--|---|---|
| ინტერვიუ<br>მასწავლებლებთან                      |  |  | ✓ |  |  |   |   |
| გამოკითხვა                                       |  |  |   |  |  | ✓ |   |
| მიღებული<br>შედეგების<br>ანალიზი                 |  |  |   |  |  | ✓ |   |
| სავარაუდო<br>ინტერვენციების<br>განხილვა          |  |  |   |  |  | ✓ |   |
| ინტერვენციების<br>განხორციელება                  |  |  |   |  |  |   | ✓ |
| ინტერვენციების<br>შედეგების<br>ანალიზი           |  |  |   |  |  |   | ✓ |
| კვლევის<br>ანგარიშის<br>მომზადება და<br>წარდგენა |  |  |   |  |  |   | ✓ |

#### 4.2 კვლევის მეთოდები

კვლევის ვადების დადგენის შემდეგ ყურადღება გავამახვილეთ საჭირო მეთოდების მოძიებაზე, რადგანაც დარწმუნებული ვიყავი, რომ სწორად შერჩეული და გამოყენებული მეთოდები გაზრდიდა ჩემ მიერ ჩატარებული კვლევის სანდოობას. ამისათვის გამოვიყენე და კიდევ ერთხელ გადავხედე ლიტერატურას კვლევის მეთოდების შესახებ. დავიწყე მონაცემთა შეგროვება, როგორც რაოდენობრივი ასევე თვისობრივი მეთოდების გამოყენებით. კვლევის

მონაცემები რომ ზუსტად შემეგროვებია გამოვიყენე რაოდენობრივი მეთოდის სახეები: დახურული და ღია ანკეტირება. თვისობრივი მეთოდიდან კი ინტერვიუ, ფოკუსირებული დაკვირვება. მოვამზადე სამი სახის კითხვარები, რომლებიც დამეხმარებოდა დასახული მიზნის მიღწევაში. კითხვარები გულისხმობდა, როგორც მასწავლებლების, ასევე მოსწავლეების და მათი მშობლების გამოკითხვასაც. მოსწავლეებისათვის კითხვარები მოვამზადე VIII, IX, X, XI კლასის 15 მოსწავლისათვის. საბაზო საფეხურის 6 მოსწავლისათვის და საშუალო საფეხურის 9 მოსწავლისათვის. ასევე გამოიკითხა 13 მასწავლებელი, რომლებიც ასწავლიან საბაზო, საშუალო საფეხურზე. კითხვარებით გამოკითხვა მოხდა 15 მოსწავლის მშობლის. გამოკითხვაში მონაწილე მოსწავლეებმა, მშობლებმა და მასწავლებლებმა შევსებული კითხვარები უკანვე დამიბრუნეს. მას შემდეგ რაც უკანვე დააბრუნეს შევსებული კითხვარები, გულმოდგინედ შევისწავლე თითოეული მათგანი. გავარკვიე მშობლების დაინტერესება და დამოკიდებულება საკუთარი შვილების სწავლა-აღზრდის საკითხისადმი. შემექმნა ზოგადი წარმოდგენა სასწავლო პროცესში მოსწავლეთა დაბალი ჩართულობის გამომწვევი მიზეზების შესახებ. აგრეთვე გავერკვიე, თუ როგორ იყენებენ სხვადასხვა საგნის მასწავლებლები საგაკვეთილო პროცესში მოსწავლეთა ჩართულობის ამაღლებისა და მათი მოტივაციის ამაღლებისათვის შესაბამის საჭირო სტრატეგიებს და მრავალფეროვან სასწავლო აქტივობებს. მონაცემების შეგროვებისთვის გამოვიყენე ფოკუსირებული დაკვირვება 3 მოსწავლესთან. ჯგუფი დაკომპლექტდა IX, X, XI კლასელი მოსწავლეებისაგან. მიზნობრივად შევარჩიე IX კლასელი დაბალი, X კლასელი -საშუალო, XI კლასელი კი-მაღალი აკადემიური მოსწრების მოსწავლეები. ფოკუს ჯგუფიდან ინტერვიუ ჩავწერე სკოლის ფიზიკის და ბიოლოგიის მასწავლებლებთან.

#### 4.3 მონაცემთა ანალიზი

კითხვარების დარიგების შემდეგ დავიწყე სამივე კითხვარის ანალიზის შეგროვება. კვლევის ანალიზმა აჩვენა, რომ მასწავლებლები იცნობენ სწავლების ახალ მიდგომებს, მეთოდებს და სტრატეგიებს, თუმცა ყოველთვის ვერ იყენებენ მას გაკვეთილზე. რადგან

სამუშაოსმტყველო საგნებში მნიშვნელოვანია პრაქტიკული სამუშაოების ჩატარება , რაც მოითხოვს მრავალფეროვან საჭირო რესურსებს, თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვის ლამორატორიებს, რაზედაც მასწავლებლებს ხელი არ მიუწვდებათ. მასწავლებლები ნაკლებად იყენებენ საგაკვეთილო პროცესში მოტივაციის ამაღლების მრავალფეროვან საშუალებებს. ფოკუსირებულმა დაკვირვებამ აჩვენა, რომ დაბალი აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლეები ვერ გებულობენ და ვერ იმახსოვრებენ საბუნებისმეტყველო საგნების ტერმინებს, ძირითად კანონებს, დებულებებს, შესაბამის ფორმულებს, უჭირთ ამოცანების ამოხსნა, დამოუკიდებლად საშინაო დავალებების შესრულება, რის გამოც გაკვეთილებზე დროის მეტი ნაწილი მიეძღვნა მიცემული საშინაო დავალებების ანალიზს. კითხვარების ანალიზისას აღმოჩნდა, რომ მოსწავლეთა ნაწილს საჭიროდ არ მიაჩნია ქიმის შესწავლა, რადგან იგი არ სჭირდება მომავალი პროფესიის დაუფლებაში. ანკეტირების საფუძველზე დადგინდა, რომ 15 მოსწავლემ მიიღო მონაწილეობა კვლევაში, რომლებიც გამოიკითხა კითხვაზე:

1. არის თუ არა პედაგოგებსა და მოსწავლეებს შორის ურთიერთ პოზიტიური და ურთიერთ პეტივისციდმაზე დამყარებული ურთიერთობები 45% პასუხობს- დიახ, 42%-ნაწილობრივ, პასუხზე თავი შეიკავა -8%-მა.
2. სახელმძღვანელოები, რომლითაც სწავლობენ მოსწავლეები საბუნებისმეტყველო საგნებში, 28% მისაღებად მიაჩნია, მიუღებელია 45%-ისთვის, თავი შეიკავა-27%-მა.
3. გამოკითხულთა 26% თვლის, რომ გაკვეთილზე ხშირადაა გამოყენებული მრავალფეროვანი სტრატეგიები, 54% თვლის, რომ ნაწილობრივადაა გამოყენებული, 20% კი თვლის, რომ არაა გამოყენებული.
4. სასწავლო აქტივობები დამლევადია 42%-ისთვის, 24%-ისთვის არაა დამლევადი, 34%-ისთვის ნაწილობრივადაა დამლევადი.
5. მოსწავლეები მასწავლებლების მიერ შეფასებას ობიექტურად თვლის 53%, არაობიექტურია 21%, ნაწილობრივ ობიექტურია 26%-ისათვის.



ცხრილი N2. კითხვარის შედეგები

| N | კითხვარის შინაარსი   | დიახ | არა | ნაწილობრივ | თავი შეიკავა | სულ |
|---|--|------|-----|------------|--------------|-----|
| 1 | არის თუ არა პედაგოგებსა და მოსწავლეებს შორის ურთიერთობა პოზიტიური და ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებული? | 4    | 2   | 6          | 3            | 15  |
| 2 | სახელმძღვანელო,რომლითაც სწავლობთ მისაღებია თუ არა თქვენთვის?   | 5    | 6   | ---        | 4            | 15  |
| 3 | არის თუ არა გაკვეთილზე სწავლების მრავალფეროვანი სტრატეგიები?   | 5    | 3   | 7          | --           | 15  |
| 4 | არის თუ არა დამლეული სასწავლო აქტივობები?  | 6    | 4   | 5          | --           | 15  |
| 5 | შეფასება არის თუ არა ობიექტური?  | 8    | 3   | 4          | --           | 15  |

6. კითხვაზე, იყენებს თუ არა გაკვეთილზე მრავალფეროვან რესურსებს - მოსწავლეთა 32% პასუხობს ხშირად, 54% იშვიათად, 14%- არასდროს
7. ყოველთვის მონაწილეობთ შეფასების სქემების შემუშავებაში-8%, ხშირად-19%, იშვიათად-73%
8. პოზიტიურ უკუკავშირს მასწავლებლისაგან ღებულობთ ყოველთვის-8%, ხშირად-46%, იშვიათად-38%, არასდროს 8%.

**ცხრილი N3 . კითხვარის შედეგები**

| კითხვარის შინაარსი  | ყოველთვის | ხშირად | იშვიათად | არასდროს | სულ |
|---|-----------|--------|----------|----------|-----|
| გაკვეთილზე იყენებს თუ არა მრავალფეროვან რესურსებს         | ---       | 5      | 8        | 2        | 15  |
| იღებთ თუ არა მონაწილეობას შეფასების სქემების შემუშავებაში | 1         | 3      | 11       | ---      | 15  |
| ღებულობთ თუ არა მასწავლებლისაგან პოზიტიურ უკუკავშირს      | 1         | 7      | 6        | 1        | 15  |

9. კითხვაზე: როგორი დავალების შესრულება გირთულდება?-პასუხობს 4 მოსწავლე -პრეზენტაცია (26%), 3 მოსწავლე-კითხვებზე პასუხი (20%), 8 მოსწავლე- უჭირს ამოცანების ამოხსნა.(54%)
10. კითხვაზე: როდის უფრო ხშირად ხართ ჩართული საგაკვეთილო პტოცესსი 10-მა მოსწავლემ (66%) უპასუხა- ჯგუფური მუშაობის დროს, 3 მოსწავლემ (20%)- დამოუკიდებელი მუშაობის დროს, 2 მოსწავლემ (14%)- არა აქვს მნიშვნელობა მუშაობის ფორმას.

11. კითხვაზე: როგორი გაკვეთილი უფრო საინტერესოა?. 5 მოსწავლე (33%) პასუხობს- ლექციური, 8 მოსწავლეს ( 53%) მოსწონს ქიმიური ექსპერიმენტით დატვირთული გაკვეთილი, 2 მოსწავლეს (14%) კი - მისთვის სულერთია.
12. კითხვაზე: რომელი საგნის შესწავლას ანიჭებს უპირატესობას? 7 მოსწავლე (47%) პასუხობს- ინგლისურს, 2 მოსწავლე (16%)–ქართულს, 2 მოსწავლე (16%)–ქიმიას, 3 მოსწავლე (20%) - სპორტს, 1 მოსწავლე (1%)–ბიოლოგია.
13. ღია კითხვაზე: რატომ არის მათ მიერ მოწონებული საგნები მათთვის საინტერესო? მოსწავლეთა ნაწილი თვლის რომ დღეისათვის მათი აზრით სავალდებულოა ინგლისურის ცოდნა, როგორც უცხო ენის, აგრეთვე ქართულის, როგორც მშობლიური ენის სწავლება და თანაც ამ საგნებში განხილული თემები მათთვის საინტერესოა.
14. კითხვაზე : რა გიშლის ხელს სწავლაში? 6 მოსწავლე (40%) პასუხობს- სიზარმაცე, 4 მოსწავლე(26%),-ეს საგნები მათ არ სჭირდებათ მომავალი პროფესიის არჩევაში, 3 მოსწავლე (20%) თვლის , რომ ხელის შემშლელია დიდი მოცულობის დავალებები, 2 მოსწავლე (14%) მიზეზად აღიარებს დავალებების სირთულეს.
15. კითხვაზე: რა უფრო მნიშვნელოვანია თქვენთვის სწავლის პროცესში? 10 მოსწავლე (66%) თვლის, რომ მნიშვნელოვანის ცოდნის მიღება, 3 მოსწავლე (20%) მნიშვნელოვანია ქულის მიღება, 2 მოსწავლე (14%) კი- ორივე ერთად.
16. კითხვაზე: რომელ საგანს ირცევთ ეროვნულ გამოჩნდებაზე ჩასაბარებლად? 3 მოსწავლემ უპასუხა-ქიმია, რაც გამოკითხულთა 20% შეადგენს. მოსწავლეთა უმრავლესობას ან არა აქვს გადაწყვეტილი რომელი საგანი უნდა ჩააბაროს ან სხვა საგნებს ასახელებს.
17. კითხვაზე: სასწავლო საგნებიდან რომლის შესწავლა გიძნელდებათ? 5 მოსწავლე (33%) პასუხობს- ფიზიკა, 5 მოსწავლე (33%)– ბიოლოგია, 4 მოსწავლე (26%) –ქიმია, ერთმა მოსწავლემ (8%) -კითხვა უპასუხოდ დატოვა
18. დასმულ კითხვაზე: რა დაგეხმარებათ სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაში? მოსწავლეებმა დაწერეს შემდეგი: საინტერესო და მრავალფეროვანი აქტივობები, მასწავლებლებიდან წახალისების სხვადასხვა ფორმების გამოყენება,

მასწავლებლები უნდა იყვნენ გაკვეთილებზე უფრო ხალისიანები, გაკვეთილები უნდა იყოს საინტერესოდ დაგეგმილი და გასაგებად ახსნილი, უფრო მეტად პრაქტიკული და ექსპერიმენტით დატვირთული გაკვეთილები, კეთილმოწყობილი ლაბორატორიები და რაც მთავარია საინტერესო აქტივობები, რაც მოსწავლეების აზრით მათ დაეხმარება სიზარმაცის დაძლევაში, რაც მთლიანად წაშლის მოსწავლეებში დაბალ მოტივაციას და საბოლოოდ გაიზრდება საგაკვეთილო პროცესში მათი ჩართულობა

მშობლების კითხვარის (დანართი N2) ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ საგაკვეთილო პროცესში მოსწავლეთა დაბალი ჩართულობის ერთ-ერთი მიზეზი მშობელთა ინერტულობა და სასწავლო პრეცესებისადმი დაბალი ინტერესი გამოიკვეთა. რაც იმითაც გამოიხატა, რომ მათი მხრიდან სკოლაში გამოცხადება და საკუთარი შვილების აკადემიური მოსწრების გაცნობა წლიდან-წლამდე თანდათან მცირდება. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ 15 მოსწავლის მშობლიდან, რომელთაც ჩემი მხრიდან დაეგზავნათ კითხვარები შესავსებად პასუხები დამიბრუნა 11 მშობელმა.

1. კითხვაზე: პედაგოგებსა და მშობლებს შორის ურთიერთობა არის თუ არა პოზიტიური და ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებული 94% პასუხობს - დიახ, 6% კი- ნაწილობრივ.
2. თვლით თუ არა, რომ თქვენი შვილი ყველა საგნის მიმართ ერთნაირ დაინტერესებას არ იჩენს? 56% პასუხობს-დიახ, 24%-არა, 14%- ნაწილობრივ, 6%-პასუხის გაცემას კითხვაზე თავს არიდებს.
3. იღებთ თუ არა პოზიტიურ უკუკავშირს მასწავლებლებისაგან? 42% გამოკითხულთაგან პასუხობს დიახ, 30%- არა, 28%-ნაწილობრივ.
4. კითხვაზე: როგორ ფიქრობთ სასწავლო პროცესისადმი თქვენი შვილის დაბალი დაინტერესების მიზეზი ხომ არაა გარდატეხის ასაკი? 24% პასუხობს- დიახ, 24%-არა, 52 %-ნაწილობრივ.

ცხრილი N4. კითხვარის შედეგი

| N | კითხვარის შინაარსი   | დიახ | არა | ნაწილობრივ | არ ვიცი | სულ |
|---|--|------|-----|------------|---------|-----|
| 1 | არის თუ არა ურთიერთობა პოზიტიური   | 10   | --- | 1          | —       | 11  |
| 2 | თვლით თუ არა, რომ თქვენი შვილი ყველა საგნისადმი არ იჩენს ერთნაირ დაინტერესებას.          | 6    | 3   | 2          | —       | 11  |
| 3 | იღებთ თუ არა უკუკავშირს მასწავლებლისაგან   | 5    | 3   | 3          | —       | 11  |
| 4 | სასწავლო პროცესის მიმართ თქვენი შვილის უინტერესობის მიზეზი ხომ არ არის გარდატეხის მიზეზი | 3    | 3   | 5          | —       | 11  |

5. კითხვაზე: როგორ შეიცვალა თქვენი შვილის დაინტერესება სასწავლო პროცესებისადმი წინა წლებთან შედარებით? 4 მშობელი (36%) პასუხობს- გაუმჯობესდა, 3 მშობელი (28%) - არ შეცვლილა, 4 მშობელი (36%) - გაუარესდა.
6. კითხვაზე: რომელი საგნის მიმართ იჩენს თქვენი შვილი დაინტერესებას? 7 მშობელი (64%) პასუხობს--ინგლისურს, 2 მშობელი (18%)--ქართულს, 1 მშობელი (9%)--სპორტს და 1 მშობელი (9%)--ქიმიას.

7. კითხვაზე: რა დროს უთმობს თქვენი შვილი მეცადინეობას? 4 მშობელი (36%) წერს, რომ საერთოდ არ მეცადინეობს, 2 მშობელი ((18%)-30წთ-ს, 2 მშობელი (18%)-1სთ-ს, 3 მშობელი (28%)-2სთ-ზე მეტს.
8. კითხვაზე: რით არის დაკავებული თქვენი შვილი გაკვეთილების შემდეგ? 8 მშობელი (18%) თვლის, რომ მეტ დროს ტელეფონს, კომპიუტერს და ტელევიზორის ყურებას. 2 მშობელი (18%) აღიარებს, რომ კითხულობს მხატვრულ ლიტერატურას, 1 მშობელი (9%) - მეხმარება საოჯახო საქმეებში.
9. კითხვაზე: რა ფორმით იღებთ ინფორმაციას სკოლიდან თქვენი შვილის აკადემიური მოსწრების შესახებ? 2 მშობელი (18%) პასუხობს დავდივარ სკოლაში, 9 მშობელი (82%) კი- ვეკითხები ბავშვს.
10. კითხვაზე: რამდნად ხშირად დადიხართ სკოლაში? 2 მშობელი (18%) პასუხობს, რომ ხშირად დადის სკოლაში, 9 მშობელი (82%) კი- იშვიათად.
11. ღია კითხვაზე: საგაკვეთილო პროცესში თქვენი შვილის დაბალი ჩართულობის მიზეზი რა შეიძლება იყოს? 3 მშობელი (27%) კითხვაზე არ პასუხობს, 8 მშობელი (73%) კი თვლის, რომ მიზეზი არის მათი შვილების სიზარმაცე, სწავლისადმი უარყოფითი დამოკიდებულება, უინტერესობა, გონება გაფანტულობა.
12. ღია კითხვაზე: სსწავლო პროცესისადმი როგორ უნდა გავზარდოთ თქვენი შვილის დაინტერესება? მშობლები წერენ: გაკვეთილები და სასწავლო პროცესი უნდა იყოს ბავშვისთვის საინტერესო, რისთვისაც საჭიროა სკოლებში იყოს კლეთილმოწყობილი ლაბორატორიები, მრავალფეროვანი და საინტერესო აქტივობებით დაგეგმილი გაკვეთილები, ზოგიერთი მშობლის აზრით კი კარგი იქნება სკოლაში გარდა სასკოლო ღონისძიებებისა სარაიონო კონკურსების ჩატარება, მშობლების ნაწილს კი მასწავლებლის მხრიდან სიმკაცრე მიაჩნია საჭიროდ.

მოსწავლეებსა და მშობლებთან ერთად მიზანშეწონილად მივიჩნიე მასწავლებლების გამოკითხვაც. ვფიქრობ, მათი გამოცდილება დიდად

წამადგება ჩემ გაკვეთილებზე მოსწავლეთა საგაკვეთილო პროცესში ჩართულობის ასამაღლებლად.

**ცხრილი N5. კითხვარის შედეგები**

| N | კითხვარის შინაარსი   | ხშირად (დიახ) | ყოველთვის | იშვიათად | არასდროს | სულ |
|---|--|---------------|-----------|----------|----------|-----|
| 1 | არის თუ რა პედაგოგებს და მოსწავლეებს შორის ურთიერთპატივისცემაზე დამყარებული ურთიერთობები | 11            | –         | 2        | —        | 13  |
| 2 | მრავალფეროვან რესურსებს ხშირად იყენებთ გაკვეთილებზე                                      | 4             | 1         | 8        | —        | 13  |
| 3 | მოტივაციის ამაღლების საშუალებებს ყოველთვის იყენებთ გაკვეთილებზე.                         | 5             | 6         | 2        | —        | 13  |

|   |   |    |   |    |   |    |
|---|---|----|---|----|---|----|
| 4 | იყენებთ თუ არა გაკვეთილზე მრავალფეროვან სტრატეგიებს | 10 | — | 3  | — | 13 |
| 5 | გაკვეთილზე იყენებთ ისტ-ს                            | —  | — | 10 | 3 | 13 |

6. კითხვაზე: ითვალისწინებთ თუ არა გაკვეთილის დაგეგმვისას მოსწავლეთა ინტერესებს და საჭიროებებს? გამოკითხული 6 მასწავლებელი (47%)

პასუხობს -ყოველთვის, ხოლო 7 მასწავლებელი (53%) კი-იშვიათად.

7. კითხვაზე : იყენებთ თუ არა გაკვეთილზე ექსპერიმენტს? 4 მასწავლებელი (31%) პასუხობს, რომ ხშირად იყენებს, 3 მასწავლებელი(23 %)-იშვიათად, 6 მასწავლებელი(46 %) -არასდროს.

8. კითხვაზე: აძლევთ თუ არა მოსწავლეებს პოზიტიურ უკუკავშირს? 9 მასწავლებელი (70 %) პასუხობს-ყოველთვის, 4 მასწავლებელი(3%) -ხშირად.

9. კითხვაზე: რთავთ თუ არა მოსწავლეებს შეფასების სქემის შემუშავებაში? 4 მასწავლებელი (30 %) პასუხობს-ყოველთვის, 6 მასწავლებელი (46 %) კი-ხშირად, 3 მასწავლებელი (24 %) კი-იშვიათად.

10. კითხვაზე: ხართ თუ არა ყოველთვის მოსწავლეთა შეფასებისას ობიექტური? 11 მასწავლებელი (85 %) თვლის, რომ ყოველთვის ობიექტურია, 2 მასწავლებელი ( 15%) კი-ხშირად არის ობიექტური.

11. ღია კითხვაზე იყენებთ თუ არა კონსტრუქტივისტულ მიდგომებს გაკვეთილის დაგეგმვისას? 8 მასწავლებელი( 61%) თვლის, რომ ყოველთვის იყენებს, 2 მასწავლებელი (15%)კი-ხშირად, 3 მასწავლებელი (24 %) - იშვიათად.

12. ღია კითხვაზე: აძლევთ თუ არა ინსტრუქციებს მოსწავლეებს თითოეული აქტივობის შესრულებისას 10 მასწავლებელი (77%) თვლის, რომ ყოველთვის ძლევს ინსტრუქციას, ხოლო 3 მასწავლებელი (23 %)- იშვიათად.



13. დასმულ კითხვაზე: თქვენი აზრით რა არის საგაკვეთილო პროცესში მოსწავლეთა დაბალი ჩართულობის მიზეზი რა არის? მასწავლებლების უმრავლესობა პასუხობს, რომ მიზეზი არის მშობლების გულგრილი დამოკიდებულება შვილების სწავლის მიმართ, ან კიდევ მეტიც, მოსწავლეთა დიდი ნაწილი მშობლების გარეშე ცხოვრობენ, რადგან მშობლები ქვეყნიდან არიან წასულები, მოსწავლეებს აქვთ ბევრი თავისუფალი დრო, რასაც სიზარმაცის გამო თამაშში ან სხვადასხვა გასართობ ადგილებში ატარებენ.

დაბალია მოსწავლეთა ინტერესი გაკვეთილებისადმი, ისინი არ არიან დარწმუნებულები საკუთარ შესაძლებლობებში. ემინიათ ან ერიდებათ საკუთარი აზრის გამოთქმის, გააჩნიათ გაზრდილი პირადი უფლებები, მაგრამ სამწუხაროდ ავიწყდებათ მოვალეობები. საკუთარ მშობლებთან ერთად იმედი აქვთ, რომ მოემზადებიან რეპეტიტორებთან და ცოდნას მაინც მიიღებენ.

14. დასმულ კითხვაზე: როგორ გავზარდოთ მოსწავლეთა ჩართულობა საგაკვეთილო პროცესში? მასწავლებელთა უმეტესი მაწილი წერს, უნდა შევქმნათ ეფექტური, სახალისო სასწავლო გარემო, ვიზრუნოთ მოსწავლეთა წახალისებაზე, მოსწავლეთა ცნობისმოყვარეობის გაზრდაზე, საჭიროების შემთხვევაში ჩავატაროთ დამატებითი შეხვედრები მოსწავლეებთან, აგრეთვე დამატებითი გაკვეთილები. სახალისო აქტივობებით დავგეგმოთ გაკვეთილები, მეტი ყურადღება დავუთმოთ ჯგუფურ მუშაობის ფორმებს, სახელმძღვანელოები და თემები იყოს საინტერესო, ადვილად გასაგები მოსწავლეებისათვის, ვიმეგობროთ როგორც მოსწავლეებთან, ასევე მათ მშობლებთან. მოვერიდოთ ლექციური ფორმის გაკვეთილების ჩატარებას. გაკვეთილები დავგეგმოთ მოსწავლეთა ინტერესებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით. ყოველივე ამას სჭირდება ფინანსები, რაც სკოლებს დღეის მდგომარეობით არ გააჩნიათ. ამისათვის საჭიროა გაანათლების სისტემაში დაფინანსების მიართულებით ცვლილებების შეტანა. ფოკუსს ჯგუფთან მუშაობისას გამოიკვეთა, რომ მოსწავლეებისათვის ძნელი აღსაქმელია დიდი

მოცულობის ახალი მასალები, რადგან წინა სასწავლო წლებში ვერ შეიძინეს სათანადო ცოდნა, რომელზედაც შეძლებენ ახალი დაშენებას, თანაც მონათესავე საგნებშიც დაბალია აკადემიური მოსწრების მაჩვენებელი.

## თავი-V

### 5.1 ინტერვენციები

შეგროვილი მონაცემების ანალიზის საფუძველზე დაიგეგმა შემდეგი ინტერვენციები:

- მოსწავლეთა საგაკვეთილო პროცესის დაინტერესების კუთხით საჭიროა გავცნოთ თემასთან დაკავშირებით მრავალფეროვან ლიტერატურას, უფრო მეტი შეხვედრები დავგეგმოთ კოლეგებთან და გავიზიაროთ მათი გამოცდილება.
- ერთობლივი ღონისძიებების დაგეგმვა ეფექტური და ეფექტიანი სასწავლო გარემოს შექმნის მიზნით. ამ მიმართულებით თანამშრომლობის გაძლიერება კლასის დამრიგებლებთან და სკოლის ადმინისტრაციასთან.
- ქიმიის ლაბორატორიის კეთილმოწყობა საჭირო, აუცილებელი ხელსაწყოებითა და ქიმიური რეაქტივებით.
- გაკვეთილების დაგეგმვა კოლეგებთან კონსულტაციების დახმარებით. მათი რჩევების გათვალისწინება, გაზიერება საინტერესო და ეფექტური სასწავლო პროცესის შექმნის მიზნით.
- საჭიროების შემთხვევაში დამატებითი მუშაობა მოსწავლეებთან მათთვის საინტერესო საკითხებზე.
- მეგობრული თანამშრომლობა მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან.
- მოსწავლეებს შორის მეგობრული და თანამშრომლობითი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება.
- წარმატებული მოსწავლეების მიერ სუსტი მოსწავლეების დახმარება. მათი შედეგების შესახებ მშობლებისათვის დროულად ინფორმაციის მიწოდება.
- საინტერესო აქტივობებით გაკვეთილების დაგეგმვა. ყურადღების გამახვილება ჯგუფურ მუშაობებზე.

- სასწავლო წლის მანძილზე, განსაკუთრებით სასწავლო წლის ბოლოს დაგეგმილი ინტერვენციების შეფასების მიზნით მოსწავლეებისა და მასწავლებლების გამოკითხვა.
- საინტერესო ვიქტორინა- კონკურსების მოწყობა მოსწავლეთა საგნისადმი დაინტერესების მიზნით.

## 5.2 ინტერვენციების შედეგები და მათი ანალიზი

დაკვირვებამ აჩვენა, რომ საგაკვეთილო პროცესში, როცა მოსწავლეები ერთად მუშაობდნენ, წარმატებული და დაბალი აკადემიური მოსწრების მოსწავლეები ერთად თანამშრომლობდნენ, ნებისმიერი დავალება მათთვის ადვილად დაძლევადი იყო, რაც მთავარია დავალებას ასრულებდნენ დიდი ინტერესითა და ხალისით.

- ვიქტორინა-კონკურსებმა, რომელიც სკოლაში ჩატარდა აპრილის თვის დასაწყისში, მოსწავლეებს გაუღვივა საკუთარ თავში თვითდაჯერებულობა , მიზანდასახულობა და ხელი შეუწყო საგნისადმი მოტივაციის ამაღლებას.
- კოლეგებთან ერთად დაგეგმილმა გაკვეთილებმა დაკვირვებისას აჩვენა, რომ მოსწავლეები ასეთ გაკვეთილებში აქტიურად იყვნენ ჩართულები.
- მოსწავლეთა აქტიური ჩართულობა შეინიშნებოდა, როცა გაკვეთილები დაგეგმილი იყო სასწავლო გაჩერებებით, სადაც ხდებოდა მინი ექსპერიმენტების ჩატარება.
- დამატებითმა მუშაობამაც მოსწავლეები უფრო დაინტერესა საგნისადმი და ჯგუფში მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება აამაღლა.
- სკოლის დირექციასთან და დამრიგებლებთან მეგობრულმა, ერთობლივმა მუშაობამ ხელი შეუწყო ეფექტური, სახალისო სასწავლო გარემოს შექმნას, რაც მოეწონათ მოსწავლეებს და ხელი შეუწყო მათ მოტივაციის ამაღლებას.

## თავი-VI

### 6.1 კვლევის მიგნებები

მონაცემთა ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა რამდენიმე მიგნება, რომელიც ჩემი აზრით მნიშვნელოვანია.

- მოსწავლეთა მშობლების დაბალი ჩართულობა საგაკვეთილო პროცესში, მშობლების მიერ გულგრილი დამოკიდებულება შვილების სწავლა-აღზრდის საქმეში.
- მოტივაციის ამაღლებისათვის საჭირო საშუალებების შემცირებული დოზით გამოყენება.
- საგაკვეთილო პროცესში კომპიუტერის ნაკლები გამოყენება. სხვადასხვა ინტერნეტ საიტებზე და ვებ-გვერდებზე ნაკლები წვდომა, რაც ხელს უშლიდა მოსწავლეთა საგაკვეთილო პროცესში ჩართულობას და მოსწავლეთა საგნისადმი დაინტერესებას.

### 6.2 რეკომენდაციები

- ვეფქრობ, მომავლისათვის პრობლემის აღმოფხვრისა და საუკეთესო შედეგების დადებისათვის კვლევის ჯგუფის შერჩევასა და ყურადღება იქნას გამახვილებული მეზობელი სკოლების მასწავლებლებთან და მოსწავლეებთან თანამშრომლობაზე. სასურველია ორივე სკოლის მასწავლებლებმა აქტიურად ითანამშრომლონ ერთმანეთთან და იზრუნონ მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებისათვის საჭირო სასწავლო სტრატეგიების მოძიებისათვის.
- კარგი იქნება შემდგომ დაგვარად სკოლამ იზრუნოს ქიმიის ლაბორატორიის საჭირო ქიმიური ხელსაწყოებითა და ქიმიური რეაქტივებით უზრუნველყოფაზე.
- აუცილებლად მიმაჩნია ისეთი გაკვეთილების ჩატარება, რომლებიც გამდიდრებული იქნება ისტ-ით. ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილი ხელს შეუწყობს მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებას.
- სასურველია სახელმძღვანელოებიც უფრო საინტერესო გახდეს

მოსწავლეებისთვის. კერძოდ, კარგი იქნება ისეთი დავალებების, სავარჯიშოებების და თემების შეტანა, რაც მოსწავლეებს დაეხმარება ხალისიანი და საინტერესო გახდეს მათთვის სასწავლო პროცესი. მოსწავლეებმა მოახერხონ მიღებული თეორიული ცოდნის ტრანსფერი პრაქტიკაში.

- ვეცადო თითოეულმა მოსწავლემ სასწავლო პროცესს შეხედოს პოზიტიურად.
- მეტად ვითანამშრომლო და ვიმეგობრო მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან.

### 6.3 კვლევის ნაკლოვანებები

- ჩემი აზრით, კარგი იქნებოდა თუ მოსწავლეები ხშირად მიიღებენ მონაწილეობას მსგავს გამოკითხვებში, რაც ცფიქრობ, ხელს შეუწყობს მოსწავლეებში საკუთარი აზრის ჩამოყალიბებას და მიეჩვიან კრიტიკულ აზროვნებას
- ვფიქრობ, დარიგებულ კითხვებზე პასუხის გაცემის დროს მოსწავლეები არ იყვნენ ბოლომდე გახსნილები. მოერიდნენ საკუთარი აზრის დაფიქსირებას. ზოგიერთმა მათგანმა კი საერთოდ ვერ გაიგეს ზუსტად რა უნდა დაეწერათ, ამიტომ თავი მოარიდეს კონკრეტულ შეკითხვაზე ზუსტი პასუხის გაცემას. ზოგს კი დაეზარა კონკრეტული პასუხის გაცემა.
- ნაკლოვანებად შეიძლება ჩაითვალოს ისიც, რომ ზოგიერთი მოსწავლის მშობელი იმყოფება საქართველოს ფარგლებს გარეთ, რის გამოც კვლევაში ვერ მიიღეს მონაწილეობა. სასურველი იქნებოდა მათი სრული ჩართულობის მიღწევა, რათა კიდევ უფრო რეალური შედეგი მიმეღო. ვფიქრობ, ეს ასე რომ მომხდარიყო, ჩემთვის შესაძლებელი გახდებოდა სწორად დამესახა სამომავლო გზები.

### თავი-VII

#### დასკვნა

ჩემ მიერ ჩატარებული პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის საფუძველზე შემიძლია გამოვიტანო შემდეგი დასკვნა: ქიმიის გაკვეთილებზე საგაკვეთილო პროცესში მოსწავლეთა დაბალი ჩართულობის მიზეზია ის, რომ გაკვეთილებზე ხშირად არ ვიყენებ მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლების ეფექტურ სასწავლო სტრატეგიებს,

მოსწავლეებისათვის ყოველ გაკვეთილზე ხელმიუწოდებელია ქიმიური ექსპერიმენტით დატვირთული მრავალფეროვანი აქტივობები. ვფიქრობ, ამის მიზეზი ის არის, რომ სკოლაში არ არის კეთილმოწყობილი ქიმიური ლაბორატორია. კვლევამ აჩვენა, რომ სკოლის მოსწავლეთა მშობლების ნაწილი ნაკლებად არიან ჩართული საკუთარი შვილების სწავლა-აღზრდის საქმეში. ისევე როგორც სხვა სასწავლო საგნებში, ასევე ქიმიის გაკვეთილებზე მოსწავლეები დატოვებული არიან მხოლოდ სკოლის, მხოლოდ მასწავლებლების იმედად. მხოლოდ კმაყოფილებიან სკოლაში მოსმენილი ინფორმაციით, რის გამოც მოსწავლეთა ცოდნის ჰორიზონტი არ არის სიღრმისეული. ზედაპირულია, რაც მალე ავიწყდებათ. ასევე ნაკლოვანებად მიმაჩნია ის, რომ საგაკვეთილო პროცესში ხშირად არ ვიყენებ სხვადასხვა, მრავალფეროვან, მოსწავლეებისათვის საინტერესო აქტივობებს. ხშირად გაკვეთილის დაგეგმვისას არ ვითვალისწინებ მოსწავლეთა ინტერესთა სფეროს. რის გამოც ბავშვებისთვის ძალიან მოსაწყენი ხდება გაკვეთილი და პარალელურად ეცემა მათი საგაკვეთილო პროცესში ჩართულობა. ჩემ მიერ განხორციელებული კვლევის მანძილზე ნამდვილად დავრწმუნდი, რომ სასწავლო პროცესი საინტერესო რომ გახდეს მოსწავლისათვის, აუცილებელია აღმზრდელს ჰქონდეს დიდი პასუხისმგებლობა პროფესიისადმი, კარგად ფლობდეს საგნობრივ ცოდნას, პროფესიულ უნარებს და რაც მთავარია უყვარდეს ბავშვი. ვფიქრობ, რომ აღნიშნული პრობლემა მხოლოდ ჩემი, ჩემი სკოლის მასწავლებლების პრობლემა არ არის. კვლევაში გამოყენებული მეთოდიკა მიმართული იყო მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების ამდლებისაკენ, რამაც დადებითი შედეგი გამოიღო. ერთობლივად დაგეგმილმა გაკვეთილებმა, გაკვეთილებზე სწავლების ეფექტური სტრატეგიების გამოყენებამ, შედარებით გააუმჯობესა მოსწავლეთა ჩართულობა საგაკვეთილო პროცესში. შედეგებზე დაყრდნობით შევიმუშავე რეკომენდაციები, რომელთა ხშირი გამოყენება დამეხმარება გავზარდო საგაკვეთილო პროცესში მოსწავლეების ჩართულობის ხარისხი.

ვფიქრობ, ჩემ მიერ განხორციელებული კვლევა და მისი შედეგების გაზიარება ზედმეტი არ იქნება ჩემი კოლეგებისათვის. მათ ჩემი გამოცდილება დაეხმარებათ თვითონაც წარმართონ მსგავსი კვლევები, რათა გააუმჯობესონ საკუთარი პედაგოგიური

პრაქტიკა. ასევე შეძლებენ შეიმუშავონ საჭირო სტრატეგიები, რომელიც მათ დაეხმარებათ შექმნან მოსწავლის მაღალ აკადემიურ მოსწრებაზე ორიენტირებული სასწავლო გარემო.

## თავი-VIII

### გამოყენებული ლიტერატურა

- 1) ბერძენიშვილი „სტრატეგიები სწავლის მოტივაციის გასაზრდელად“ ( 2015 წელი)
- 2) მასწავლებელთა საქმიანობის გზამკვლევი. ( ნაწილი II )
- 3) ს.გიორგაძე, ნ. ნაცვლიშვილი „სწავლა და შეფასება“ (2008წელი)
- 4) სოფიო ლობჯანიძე „ როგორ წარმართოთ პედაგოგიური კვლევები“ ჟურნალი მასწავლებელი (2005 წელი) <http://mastsavlebeli.ge/?p=281>
- 5) თეო ჭყოიძე „სწავლის მოტივაციის შიგა ფაქტორები“ ჟურნალი მასწავლებელი (20012 წელი. N2)
- 6) თინათინ ზურაბიშვილი „თვისობრივი მეთოდები სოციალურ კვლევაში“ (თბილისი 2006 წელი) [http://old.ucss.ge/geo/publication/publications\\_detail.php?ID=173](http://old.ucss.ge/geo/publication/publications_detail.php?ID=173)
- 7) წულაძე ლ. „რაოდენობრივი კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებებში“ თბ. 2008.[http://css.ge/files/Books/Books/raodenobrivi\\_kvlevis\\_meTodebis\\_saxelomzgv.pdf](http://css.ge/files/Books/Books/raodenobrivi_kvlevis_meTodebis_saxelomzgv.pdf)
- 8) განვითარების და სწავლების თეორიები.დამხმარე სახელმძღვანელო. პირველი ნაწილი (2008 წელი)
- 9) მ.გიორგაძე „ როგორ ვიმუშავოთ პედაგოგიურ კვლევაზე (ციფრული რესურსი)
- 10)ეროვნული სასწავლო გეგმა. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების სტანდარტი.თბილისი:განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო.

## დანართი N1 მოსწავლეთათვის

- 1) არის თუ არა ქიმიის მასწავლებელსა და მოსწავლეებს შორის ურთიერთობაში პოზიტიური და ურთიერთპატივისცემაზე დამყარებული?
- 2) სახელმძღვანელოები, რომლითაც სწავლობთ ქიმიას მისაღებია თუ არა თქვენთვის?
- 3) არის თუ არა გამოყენებული გაკვეთილზე სწავლების მრავალფეროვანი სტრატეგიები?
- 4) არის თუ არა თქვენთვის დაძლევადი სასწავლო აქტივობები?
- 5) თვლით თუ არა, რომ თქვენი შეფასება ობიექტურია?
- 6) იყენებთ თუ არა მრავალფეროვან რესურსებს გაკვეთილზე?
- 7) იღებთ თუ არა მონაწილეობას შეფასების სქემების შემუშავებაში?
- 8) ღებულობთ თუ არა პოზიტიურ უკუკავშირს მასწავლებლებისაგან?
- 9) როგორი დავალებების შესრულება უფრო გირთულდებათ?
- 10) როდის უფრო ხართ ჩართული საგაკვეთილო პროცესში?
- 11) როგორი გაკვეთილი უფრო საინტერესოა თქვენთვის: ა)ლექციური ბ)ისტ-ით გამდიდრებული გ) როცა ექსპერიმენტი ტარდება დ) სულ ერთია
- 12) რომელი საგნის სწავლებას ანიჭებთ უპირატესობას?
- 13) რით არის ქიმია თქვენთვის საინტერესო? (ჩაწერეთ თქვენი აზრი)
- 14) რა გიშლით ხელს სწავლაში?
- 15) რა უფრო მნიშვნელოვანია თქვენთვის სწავლის პროცესში?
- 16) რომელ საგანს ირჩევთ ეროვნულ გამოცდებზე ჩასაბარებლად?
- 17) საბუნებისმეტყველო საგნებიდან, რომლის შესწავლა უფრო გიძნელდება?
- 18) თქვენი აზრით რა დაგეხმარებათ სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაში და საგაკვეთილო პროცესში აქტიურად ჩართვაში?



## დანართი 2 კითხვარი მშობლებისათვის

- 1) არის თუ არა მშობლებსა და პადაგოგებს შორის ურთიერთობა პოზიტიური და ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებული?
- 2) თვლით თუ არა, რომ თქვენი შვილი ყველა საგნის მიმართ ერთნაირ დაინტერესებას არ იჩენს?
- 3) იღებთ თუ არა პოზიტიურ უკუკავშირს მასწავლებლებსაგან?
- 4) როგორ ფიქრობთ სასწავლო პროცესის მიმართ თქვენი შვილის დაბალი დაინტერესების მიზეზი ხომ არაა გარდატეხის ასაკი?
- 5) თქვენი შვილის დაინტერესება სასწავლო პროცესის მიმართ წინა წლებთან შედარებით  
ა) გაუმჯობესდა ბ) გაუარესდა გ) არ შეცვლილა
- 6) რომელი საგნების მიმართ ამჟღავნებს დაინტერესებას თქვენი შვილი?
- 7) რა დროს ყთობს თქვენი შვილი მეცადინეობას?
- 8) რა ფორმით იღებთ ინფორმაციას თქვენი შვილის შესახებ სკოლიდან?
- 9) რამდენად ხშირად დადიხართ სკოლაში?
- 10) რით არის დაკავშირებული თქვენი შვილი?
- 11) თქვენი აზრით რა შეიძლება იყოს საგაკვეთილო პროცესში თქვენი შვილის დაბალი ჩართულობის მიზეზი?
- 12) როგორ ფიქრობთ, როგორ უნდა გავზარდოთ თქვენი შვილის დაინტერესება სასწავლო პროცესისადმი.

### დანართი N3. კითხვარი მასწავლებლებისათვის.

- 1) არის თუ არა პედაგოგებს და მოსწავლეებს შორის ურთიერთობა პოზიტიურ ურთიერთპატივისცემაზე დამყარებული?
- 2) იყენებთ თუ არა გაკვეთილზე სწავლების მრავალფეროვან სტრატეგიებს?
- 3) იყენებთ თუ არა გაკვეთილზე მრავალფეროვან რესურსებს?
- 4) იყენებთ თუ არა გაკვეთილზე მოტივაციის ამაღლების საშუალებებს?
- 5) რამდენად ხშირად იყენებთ გაკვეთილზე ისტ-ს?
- 6) იყენებთ თუ არა გაკვეთილზე ექსპერიმენტს?
- 7) დასმულ კითხვაზე: როგორ გავზარდოთ მოსწავლეთა ჩართულობა საგაკვეთილო პროცესში?
- 8) აძლევთ თუ არა მოსწავლეებს პოზიტიურ უკუკავშირს?
- 9) კითხვაზე: რთავთ თუ არა მოსწავლეებს შეფასების სქემის შემუშავებაში?
- 10) კითხვაზე: ხართ თუ არა ყოველთვის მოსწავლეთა შეფასებისას ობიექტური?
- 11) ღია კითხვაზე იყენებთ თუ არა კონსტრიქტივისტულ მიდგომებს გაკვეთილის დაგეგმვისას?
- 12) . ღია კლითხვაზე: აძლევთ თუ არა ინსტრუქციებს მოსწავლეებს თითოეული აქტივობის შესრულებისას
- 13) . დასმულ კითხვაზე: თქვენი აზრით რა არის საგაკვეთილო პროცესში მოსწავლეთა დაბალი ჩართულობის მიზეზი რა არის?
- 14) დასმულ კითხვაზე: როგორ გავზარდოთ მოსწავლეთა ჩართულობა საგაკვეთილო პროცესში?

### პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის რეფლექსია

#### თემა: „სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ჩართულობის გაუმჯობესების გზების კვლევა ქიმიის გაკვეთილებზე“

საგაკვეთილო პროცესში მოსწავლეთა აქტიური ჩართულობა, მათი მოტივაციის გაზრდისათვის საჭირო უნარ-ჩვევების განვითარება ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული შედეგების მისაღწევად. ჩემ

პედაგოგიურ პრაქტიკაში წრმოქმნილმა საჭიროებამ გადამაწყვეტინა აღნიშნულ საკითხზე კვლევის ჩატარება. იმედი მაქვს აღნიშნული კვლევა ძალიან დიდ გამოცდილებას შემატებას და გაზრდის ჩემს პედაგოგიური საქმიანობის ხარისხს. ამასთანავე შევძლებ საჭიროების შემთხვევაში კოლეგების დახმარებასაც. აღნიშნული კვლევა ჩემთვის იყო დიდი პედაგოგიური გამოწვევა, მისი ანგარიში წარვადგინე , როგორც საბუნებისმეტყველო მეცნიერების კათედრის წევრების, ასევე სკოლის ყველა მასწავლებლის წინაშე პრეზენტაციის სახით მიღებული გამოცდილების გაზიარების, ასევე კოლეგების მხრიდან უკუკავშირის მიღების მიზნით.

საკვლევი თემის იდენტიფიცირების შემდეგ გავცანი სათანადო ლიტერატურას, რომლის მოძიებამ, დამუშავებამ და გაანალიზებამ დიდი დახმარება გამიწია უფრო სიღრმისეულად გამეცნობიერებინა აღნიშნული პრობლემის არსი, მომეხდინა მის გადასაჭრელად სამოქმედო გეგმის შედგენა შესაბამისი კვლევის მეთოდების, ასევე საჭირო ინტერვენციების გამოყენებით . მუშაობის პროცესში ვისარგებლე პედაგოგიური კვლევის როგორც რაოდენობრივი, ასევე თვისობრივი მეთოდები. მიღებული შედეგების ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა რამდენიმე პრობლემა, რომლებიც ხელს უშლიდა საგაკვეთილო პროცესში მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას, რაც უარყოფითად აისახებოდა მათ აკადემიურ მოსწრებაზე. გამოკვეთილი მიზეზებიდან მნიშვნელოვანი და საყურადღებოა შემდეგი:

- 1) საგნისადმი მოსწავლეების დაბალი მოტივაცია;
- 2) მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებანი-გარდატეხის ასაკი;
- 3) მოსწავლეთა მშობლების დაბალი ჩართულობა საკუთარი შვილების სწავლა-აღზრდის საქმეში;
- 4) ქიმიის, როგორც მეორეხარისხოვანი საგნად აღიარება, რის გამოც მოსწავლეები მომავალი პროფესიის არჩევისას ქიმიას არ ასახელებენ.

შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე , პირველ რიგში გადავწყვიტე მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებისთვის მომეძებნა ყველა ხერხი და საშუალება. მაგალითად, როგორცაა: მოსწავლეთა საჭიროებებზე მორგებული სასწავლო გარემოს შექმნა, მრავალფეროვანი და საინტერესო აქტივობებით გაკვეთილების დაგეგმა. ამ მიზნით კიდევ ერთხელ გადავხედე ჩემ მიერ მოსმენილ და პროფესიული განვითარებისათვის განვლილ სატრენინგო მასალებს. სისტემატიურად , მნიშვნელოვან და ჩემთვის საინტერესო საკითხებთან დაკავშირებით კოლეგებთან ვაწარმოებდი საქმიან , პოფესიულ შეხვედრებს. რადგან, ჩემი მოსწავლეების ერთ-ერთი პრობლემა იყო დაბალი მოტივაცია, რაც იწვევდა საგაკვეთილო პროცესში მოსწავლეთა ჩართულობის დაცემას, პირველა ეტაპზე დავარიგე კითხვარები მოსწავლეებისთვის, ასევე მშობლებისთვის და მასწავლებლებისთვის. დარიგებული კითხვარების დახმარებით შევაგროვე ინფორმაცია აღნიშნული პრობლემის თაობაზე. კვლევა მიმდინარეობდა შვიდი თვის მანძილზე. ჩემ მიერ გამოყენებული აქტივობები და მოქმედების სტრატეგიები,

განხორციელებული ინტერვენციები დამეხმარა სწორი გზები მომეძებნა საგაკვეთილო პროცესში მოსწავლეთა დაბალი ჩართულობის აღმოსაფხვრელად. აღნიშნული პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის მიზანიც სწორედ ეს იყო.

## დასკვნა

მრავალფეროვანი სასწავლო აქტივობები, ახალი მათოდები, საჭირო რეკომენდაციები, რასაც გვთავაზობს განათლების სისტემა ნამდვილად ეფექტურია, მორგებულია მოსწავლე-ახალგაზრდობის საჭიროებებზე და ორიენტირებულია სამომავლო გეგმებზე, რომ მომავალმა თაობამ ღირსეული ადგილი დაიკავოს საზოგადოებაში. ნამდვილად შემძლია ვთქვა, რომ თუ მასწავლებლები ამ ახალი მიდგომებით, მეთოდებით, სტრატეგიებით ისარგებლებენ, შეძლებენ სასურველ შედეგზე გასვლას, რასაც ითვალისწინებს ეროვნული სასწავლო გეგმა. ჩემი კვლევიდან მიღებული შედეგების საფუძველზე შემძლია ვურჩიო ჩემ კოლეგებს, რომ თუ მოსწავლეთა დაინტერესების, მოტივაციის ამაღლების მიზნით მოსწავლეს შევუქმნით საინტერესო სასწავლო გარემოს, სასწავლო რესურსებით მდიდარ აქტივობებს, ვესაუბრებით მათთვის გასაგებ ენაზე, თემებზე რაც მათ აინტერესებთ და არა რაც მხოლოდ ჩვენთვისაა საინტერესო, მიზანს აუცილებლად მიაღწევენ და შედეგიც სასურველი იქნება. პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის დროს მიღებული უნარ-ჩვევების გამოყენებას ჩემი მოსწავლეები შეძლებენ ქიმიის გარდა სხვა დანარჩენ საგნებშიც. რადგან საგაკვეთილო პროცესში მოსწავლეთა ჩართულობა არამარტო ქიმიის გაკვეთილებისთვის იყო დიდი პრობლემა, არამედ თითოეული საგნის მასწავლებლის საფიქრალია სწორედ, ის გზები როგორ უნდა ავამაღლოთ გაკვეთილებზე მოსწავლეთა ჩართულობა. მოძებნილი გზები კოლეგებსაც გამოადგებათ საკუთარ პედაგოგიურ საქმიანობაში. თემასთან დაკავშირებული უნარების განვითარებამ ხელი შეუწყო ჩემ გაკვეთილებზე საგაკვეთილო პროცესის ხალისიანად და ნაყოფიერად ჩატარებას. გაუმჯობესდა მათი აკადემიური მაჩვენებლები. მოსწავლეთა უმეტესობა თვითდაჯერებულები გახდნენ, ამაღლდა მოსწავლეთა დაინტერესება ქიმიის გაკვეთილებისადმი. ზემოთ აღნიშნული ცვლილებების დასტურია კათედრის მიერ ჩატარებული ვიქტორინა-კონკურსი თემაზე: „მე მიყვარს სიცოცხლე“, სადაც ქიმიის მიმართულებით დასმული შეკითხვების მეტი წილი მოსწავლეებმა სწორად, ხალისიანად და წარმატებით გადაჭრეს. აქტივობები, რაც პირადად მე პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის პერიოდში შვიდი თვის მანძილზე შევასრულე დარწმუნებული ვარ გამოადგება კოლეგებსაც, რომლებსაც საკუთარ პედაგოგიურ პრაქტიკაში შეექმნებათ მსგავსი პრობლემები. ჩემთვის საინტერესო იყო კვლევის თითოეული ეტაპი. სამუშაოს დასრულებისას დავრწმუნდი, რომ თუ ინტერესი, მიზანდასახულობა და მონდომება არსებობს, ადამიანის მიერ შეუსრულებელი არაფერია. პრეზენტაციაც საინტერესო გამოვიდა. ვხედავდი კოლეგების მხრიდან თემისადმი დიდ ყურადღებას, ინტერესს, რაც ნამდვილად კარგად გამოჩნდა მათი მხრიდან მიღებულ

უკუკავშირში, რამაც ძალიან აამაღლა ჩემი მოტივაცია და მზადყოფნა ნებისმიერი ახალი გამოწვევის მიმართ. ბოლოს, რაც მთავარია ჩემ მიერ განხორციელებულმა კვლევამ გაამდიდრა ჩემი პედაგოგიური პრაქტიკა, კიდევ უფრო ახლო მეგობრული ურთიერთობა დამყარდა ჩემსა და მოსწავლეებს შორის, მეტად გახსნილები და თვითდაჯერებულები დავინახე თითოეული მათგანი, რამაც კიდევ უფრო წამახალისა, წამაქეზა, რათა მომავალში მსგავს გამოწვევებს უშიშრად დახვედროდი. ვფიქრობ, რომ აღნიშნულმა აქტივობამ მეტი გამოცდილება შემატა ჩემ პედაგოგიურ ცხოვრებას. ბოლოს მინდა მოსწავლეს, მშობელს და ჩემი სკოლის თითოეულ მასწავლებელს მადლობა გადავუხადო მეგობრული თანამშრომლობისა და მხარში დგომისთვის.

05 ივნისი 2019 წელი

სსიპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის

სორმონის საჯარო სკოლის

ქიმიის მასწავლებელი : ინგა კუხიანიძე